# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 22 თებერვალი 2001 №30 (1303) | ფასი 50 თეთრი



REUTERS მოსკოვიდან

სპარტაკი — ბაიერნი. მეჰმეთ შოლმა ალექსანდრ ფილიმონოვს ორჯერ გაუტანა, მეორედ თერთმეტმეტრიანით

# მოსკოვი ზამთარმა ვეღარ იხსნა



REUTERS რომიდან

ლაციო — რეალი. ორივემ გაიტანა: მადრიდელები რაული და სოლარი

გუშინ ჩემპიონთა ლიგის ორი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა.

მადრიდის „რეალი" რომში უქულო „ლაციოს" სტუმრობდა, იტალიის ჩემპიონთან ორჯერ აგებდა, თუმცა სოლარისა და რაულის გოლების წყალობით სასურველი ქულა მოიპოვა და თავი მეოთხედფინალში დაიგულა.

ბრიუსელში კი, დევიდ ოლირის შეგირდებმა საქმე პირველივე ტაიმში მოილიეს. მარკ ვიდუკასა და ალან სმიტის წყვილი გოლით 3:0 დაწინაურდნენ, მეორეში „ლიდსმა" „ანდერლეხტის" ერთ საპასუხოს ჰარტის მეოთხეც მიაყოლა, 9 ქულა დაუგროვდა და მდევართათვის მიუწვდომელი გახდა.

მეოთხედფინალისკენ მძლავრად გაიწია მიუნხენის „ბაიერნმაც", რომელმაც გაყინულ მოსკოვში რუსთა სიამაყე „სპარტაკი" შეარცხვინა.

იხილეთ მეორე გვერდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არსენალი | 1 |
| ლიონი | 1 |
| სპარტაკი | 0 |
| ბაიერნი | 3 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლაციო | 2 |
| რეალი | 2 |
| ანდერლეხტი | 1 |
| ლიდსი | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ფუხელ ჩემპიონთა ლიგა II ეტაპი IV ტური

## C ჯგუფი

### არსენალი 1:1 ლიონი

1:0 ბერხკამპი (33), 1:1 ედმილსონი (90)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, გრიმანდი, ეშლი კოული, ლუენი, პარლოუ, ლიუნგბერგი, ვიერა, პირესი (ლორენი 80), ანრი (კანუ 83), ბერხკამპი (ვილტორდი 71)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ლიონი: კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრეშე, ლეგლი (დორასო 66), ფოე (ლინარესი 66), ვიოლო, გოვუ (ლოკო 79), მარლე, ს. ანდერსონი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

გაფრთხილება: მარლე, ედმილსონი, ფოე, ვიოლო, მიულერი, ლორენი, ვიეირა

მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

34 303 მაყურებელი

### სპარტაკი 0:3 ბაიერნი

0:1, 0:2 შოლი (17, 75პ), 0:3 პაულო სერჯიო (87)

სპარტაკი: ფილიმონოვი, ჩუისე, ანანკო, პარფიონოვი, მიტრეცკი, ბარანოვი (ბეზროდნი 80), ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, რობსონი, ირისმეტოვი (მარკაო 70)

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

ბაიერნი: კანი, კუფური, პ. ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ფინკი (ჰარგრივსი 89), ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი (პაულო სერჯიო 84), ელბერი (იანკერი 84)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ფინკი, ანანკო, ეფენბერგი, ლიზარაზუ, ლინკე

მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 4 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |

## D ჯგუფი

### ლაციო 2:2 რეალი

1:0 ნედვედი (4), 1:1 სოლარი (32), 2:1 კრესპო (53), 2:2 რაული (73)

ლაციო: პერუცი, პანკარო, ნეგრო, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, მიხაილოვიჩი (ბარონიო 81), სიმეონე, კასტრომანი, ნედვედი, კრესპო, სალასი (ინძაგი 74)

მწვრთნელი: დინო ძოფი

რეალი: სესარი, სალგადო, იერო, ჟერემი, რობერტო კარლოსი, სოლარი, ელგერა (სელადესი 64), მაკელელე, ფიგუ (კარანკა 90), გუტი (მუნიტისი 69), რაული

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: სალგადო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ჟერემი, სესარი

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

60 000 მაყურებელი

### ანდერლეხტი 1:4 ლიდსი

0:1 სმიტი (12), 0:2 ვიდუკა (33), 0:3 სმიტი (37), 1:3 კოლერი (75), 1:4 ჰარტი (80პ)

ანდერლეხტი: მილოშევიჩი, კრასონი, ილიჩი (დინდანე 38), დე ბოეკი, დეედენი, ვანდერეიკე, ბასეჯიო, სტოიკა, გოორი, კოლერი, რაძინსკი

მწვრთნელი: ემე ანტუნესი

ლიდსი: მარტინი, ფერდინანდი, რადებე, მატეო, ბოიერი, დაკური, მილსი, ჰარტი, ბეტი, ვიდუკა (კიუელი 82), სმიტი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: მილსი, ბასეჯიო, ჰარტი

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| ლიდსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ლაციო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

მადრიდის „რეალი" და „ლიდს იუნაიტედი" გავიდნენ მეოთხედფინალში


REUTERS რომიდან

ლაციო — რეალი 2:2. რაულის თავურმა „რეალი" მეოთხედფინალში გაიყვანა, „ლაციო" კი ჯგუფში დატოვა


AP ლონდონიდან

არსენალი — ლიონი 1:1. დენის ბერხკამპმა (მარცხნივ) ჯერ ედმილსონი ჩამოიცილა თუ წააქცია, მერე კი გრეგორი კუპესაც გაუტანა


REUTERS მოსკოვიდან

სპარტაკი — ბაიერნი 0:3. შტეფან ეფენბერგმა ეგორ ტიტოვის წაქცევისთვის თავისი თმის ფერი ანუ ყვითელი ბარათი დაიმსახურა


REUTERS ბრიუსელიდან

ანდერლეხტი — ლიდსი 1:4. მასპინძელთა განადგურება ალან სმიტის ამ გოლის მერე დაიწყო

## ესპანეთი

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

ფეროლი 3:2 ალბასეტე

## საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი

I მატჩები

პანაჰაიკი 1:0 ირაკლისი

პაოკ 2:0 ქსანთი

## ინგლისი

I დივიზიონი

XXXIII ტური

ნოტინგემი 0:1 შეფილდ უენსდი

0:1 სიბონი (75)

## შოტლანდია

გადადებული მატჩები

დანდი 0:1 დანფერმლაინი

0:1 ნიკოლსონი (12)

აბერდინი 3:0 სენტ მირენი

1:0, 2:0, 3:0 სტავრუმი (43, 69პ, 84პ)

სელტიკი 1:0 მოზერუელი

1:0 მორავჩიკი (84)

## ჰოლანდია

გადადებული მატჩი

ბრედა 0:0 ტვენტე

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

## საქართველო — რუმინეთი

# რას გვეტყვით, ექიმო? გერმანია მზადაა, საქართველო შეკრიბოს

**28 მარტს** საქართველოს ეროვნულ ნაკრებს პრინციპული მატჩი ელის რუმინელებთან. ამ შეხვედრას სფფ-ის პრეზიდენტი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს — როგორც არასდროს, ისეა საჭირო ქართული ფეხბურთისთვის ამ შეხვედრის მოგება — განაცხადა ამას წინათ მერაბ ჟორდანიამ.

წარმატებისთვის, ცხადია, სათანადო ნაბიჯები უნდა გადაიდგას. მომზადების თვალსაზრისით თებერვლის ბოლოს დაგეგმილი ამხანაგური მატჩი „კიოლნთან" ჩვენს ნაკრებს, ალბათ, სასიკეთოდ წაადგება, მაგრამ კონკრეტულ მატჩში გუნდის ნახვასა და გარკვეულვადიან შეკრებას შორის დიდი სხვაობაა.

სფფ-ში ვარაუდობდნენ, რომ რუმინეთამდე ნაკრები ერთი კვირით ადრე შეიკრიბებოდა თბილისში და ადგილზე გაივლიდა მზადებას, მაგრამ ორიოდე დღის წინ „შინდისფერებს" უკეთესი პერსპექტივა გამოუჩნდათ.

ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, გერმანია მზადაა, 20-დან 25 მარტამდე საქართველოს ნაკრებს უმასპინძლოს. უდავოა, ხუთდღიანი უცხოური შეკრება საუკეთესო პირობებში, რუმინეთის მომლოდინე ქართველებისთვის ერთიორად სასარგებლო იქნება, მაგრამ სფფ-ში კონკრეტული დასკვნის გაკეთებას არ ჩქარობენ.

„გვაინტერესებს ექიმთა აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია ფეხბურთელისთვის პირდაპირ შეკრებიდან მნიშვნელოვან თამაშზე გამგზავრება. ვშიშობთ, ფეხბურთელები ზედმეტად არ გადავტვირთოთ. ამიტომაც პასუხს დაველოდებით და ამის გათვალისწინებით ვიმოქმედებთ" — გვითხრა ვალერი ჩოლარიამ.

მოკლედ, თუ ექიმებმა ჩვენს ნაკრებს მწვანე შუქი აუნთეს, ყიფიანი და ძოძუაშვილი გუნდს ხუთი დღით გერმანიაში მოამზადებენ. 25 მარტს ქართველები თბილისში დაბრუნდებიან და ცოტას აქაც წაივარჯიშებენ, მერე კი, მერე რუმინეთია...

**ბაატა ძვანტალიანი**

# გიორგი ქინქლაძეს ექიმებმა ნერვები ჯერ მოუშალეს, მერე მოურჩინეს

**საქართველოს** ნაკრებისა და ინგლისური „დერბის" ნახევარმცველმა გიორგი ქინქლაძემ ვარჯიში განაახლა, ოღონდ ჯერ მხოლოდ ტრენაჟორებზე.

თუ გახსოვთ, ტრავმირებულ ქინქლაძეს ინგლისელმა ექიმებმა მცდარი დიაგნოზი დაუსვეს, რის გამოც გიორგის მკურნალობა საკმაოდ გაუხანგრძლივდა. ჩვენებურს თურმე ნერვი აწუხებდა, დასტაქრებს კი ეგონათ, საზარდული სტკივაო. ამიტომაც მკურნალობის კურსი არასწორად დაენიშნა. მერე, როცა ყველაფერი გაარკვიეს, ექიმებმა ქინქლაძეს ნემსები დაუნიშნეს და უთხრეს, ხუთ კვირაში ვარჯიშს შეძლებო.

გიორგიც ორშაბათიდან შეუდგა ინდივიდუალურად მზადებას და დაახლოებით ათ დღეში შესაძლოა, ითამაშოს კიდეც. უახლოეს ტურში „დერბი" „ასტონ ვილას" ხვდება. ქინქლაძე არ ითამაშებს, მომავალ ტურს, „ლივერპულთან" მატჩს კი, როგორც თავად გიო ამბობს, ალბათ, ალარ გამოტოვებს. სავარაუდოდ, 28 მარტს, რუმინელებთან სათამაშოდ გიორგი ქინქლაძე მზად იქნება.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ქინქლაძე მალე ბურთსაც გააგორებს

# ქართველ, ებრაელ და ბოსნიელ ყრმათა ევროთბილისობა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას შვეიცარიაში ამასწინანდელ ვიზიტს ერთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამბის გადაწყვეტა მოჰყვა — მიმდინარე წლის შემოდგომაზე (ზუსტი თარიღი ჯერჯერობით დადგენილი არ არის) თბილისი ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეათე ქვეჯგუფის მატჩებს უმასპინძლებს.

მეათე ქვეჯგუფში ქართველებთან ერთად ებრაელი და ბოსნიელი ჩვიდმეტწლამდელები იბრძოლებენ. გამარჯვებული 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ შარშან თექვსმეტწლამდელთა შესარჩევი ქვეჯგუფის მატჩებსაც უმასპინძლა, მაგრამ მაშინ ჩვენებურებმა ბერძენ, ხორვატ და ბულგარელ თანატოლებთან ვერაფერი გააწყეს. ქვეჯგუფის გამარჯვებული მაშინ საბერძნეთი გახდა. იმედია, წლეულს ჩვენი ყმაწვილები უკეთ ითამაშებენ, თუმც ჯერჯერობით სასიხარულო არაფერი ისმის გერმანიიდან, სადაც სამი დღის წინ გაემგზავრნენ ქართველი ჩვიდმეტწლამდელები ერთკვირიან შეკრებაზე.

20 თებერვალს კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი გერმანიის ნაკრებს შეხვდა ქალაქ ალენში, სტუმრები პირწმინდად დამარცხდნენ. გერმანელებმა ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს ქართველებს.

„ერთობ სოლიდური, ძლიერი ნაკრები ჰყავთ მასპინძლებს. ჩვენებმა მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, პირველი ტაიმის შემდეგ 0:1-ს ვაგებდით, მაგრამ მერე მეტოქემ კიდევ უფრო იძალა" — გვითხრა გუშინ ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებთან ერთად გერმანიაში მყოფმა სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცმა გია ფირცხალავამ.

გერმანელ თანატოლებს ქართველები ხვალაც გაეჯიბრებიან. მატჩი ნორდლინგენში გაიმართება და თბილისური დროით 17 საათზე დაიწყება.

**ბაატა ძვანტალიანი**

# საქართველო — აზერბაიჯანი: ყარდაშ-ამხანაგური

**უკრაინის** ახალგაზრდულ ნაკრებთან გამართული მატჩიდან ერთი თვის თავზე, 14 მარტს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები „შევარდენზე" მეზობელ აზერბაიჯანელებს დაუხვდება.

ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ ორივე მხარემ საბოლოო დასტური თქვა, ასე რომ, მურთაზ ხურცილავას კიდევ ერთხელ მიეცემა ნაკრების წევრთა შერჩევა-შეთამაშების საშუალება.

საქართველო — აზერბაიჯანის წლევანდელი საფეხბურთო ურთიერთობა ამით არ ამოიწურება. ფაქტობრივად ისიც გადაწყვეტილია, რომ მეზობლები 9 მაისსაც გვეწვევიან. მოვლენების ცენტრში კვლავ „შევარდენი" იქნება. ეს სარბიელი 14 საათზე ქართველ და აზერბაიჯანელ 19-წლამდელთა ნაკრებებს უმასპინძლებს, სამი საათის შემდეგ კი „შევარდენზევე" უკვე ორი ქვეყნის კლუბების ნაკრებები გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ჩივაძე და დინამო სალამი იდეას

**მეტად** გაჭიანურდა თბილისის „დინამოს" რეგისტრაცია. არადა, ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპი კარსაა მომდგარი, გუნდს კი მთავარი მწვრთნელი ჯერაც არ ჰყავს, ფეხბურთელთა დავალიანებაც გასასტუმრებელია. თანაც ახალი პატრონი „დინამოს" კვლავ მაღალ მიზნებს უსახავს...

გუშინ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარის მოადგილეს ნიკა ივანიშვილს შევეხმიანეთ. უპირველესად დავინტერესდით, რამ შეუშალა ხელი „დინამოს" რეგისტრაციას.

— მიზეზი იგივეა, ქონების მართვის სამინისტროდან და მერიიდან შესაბამისი დოკუმენტაცია ჯერაც არ მიგვიღია. პარასკევს, 23 თებერვალს, ყველაფერი მოგვარდება და „დინამო" რეგისტრაციაში გატარდება.

**— „დინამოს" ყოფილი დამფუძნებლების პრეტენზიების გამო ხომ არ ჭიანურდება რეგისტრაცია?**

— მათი პრეტენზიების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, იმას კი გეტყვით, რომ „დინამოს" რეგისტრაციასთან ამას არაფერი აქვს საერთო.

**— რა სახით დარეგისტრირდება კლუბი?**

— ალბათ, როგორც სახელმწიფო შპს აი, რკინიგზის დეპარტამენტი რომაა, დაახლოებით ისე.

**— კულუარებში უკვე ასახელებენ „დინამოს" მთავარი მწვრთნელის ვინაობას, კერძოდ, ალექსანდრე ჩივაძეს, არის უცხოელი სპეციალისტის მოწვევის ვერსიაც...**

— ჩვენი მხრიდან ეთიკური არ იქნებოდა, კლუბის რეგისტრაციამდე მთავარი მწვრთნელის პოსტი ვინმესთვის შეგვეთავაზებინა. ჩივაძის კანდიდატურის საწინააღმდეგო კი არაფერი მაქვს. პირიქით, ამ იდეას მივესალმები. ჩივაძის ავტორიტეტს და მისი, როგორც მწვრთნელის უნარს, დიდად ვაფასებთ. თუმც მასთან ამის თაობაზე ჯერ არ გვილაპარაკებია. ასე რომ, თუ საკითხი დადგება, ჩივაძის კანდიდატურას „დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მხარს დავუჭერ. ყოველივე რეგისტრაციის შემდეგ გადაწყდება.

**— კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ვინაობა როდის გაცხადდება?**

— ეს ქონების მართვის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს. თუმც შესაძლოა, ეს სამინისტრო დათმობაზე წავიდეს და პრეროგატივა შსს-ს, მეორე სახელმწიფო უწყებას გადაულოცოს. არც ისაა გამორიცხული, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ვინაობის საკითხი კლუბის რეგისტრაციის შემდეგაც ღიად დარჩება.



ალექსანდრე ჩივაძე

**დავით თავართქილაძე**

# მოლენბეკმა ტორპედოს ბოსკამპი შეახსენა აშვეთიამ კი ქულა გადაარჩინა

**საშუალეზონო** სამზადისი თითქმის დაასრულა ქვეყნის ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ". რიონისპირელებმა ბელგიურ ქალაქ სპაში ორი კვირა გაატარეს, საკონტროლო მატჩებიც ითამაშეს, თუმც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „ტორპედოს" შესახებ მკითხველს იშვიათად ვაწვდიდით ინფორმაციებს.

19 თებერვალს ქუთაისელები ჰოლანდიაში გადასულან და იქ შეკრებაზე მყოფ „როსტსელმაშს" გაჯიბრებიან. როსტოველთა რიგებში არ უთამაშია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დავით ხმელიძეს, თუმც დათო „როსტსელმაშთან" ერთად ჰოლანდიაშივე ვარჯიშობს.

თამაშში რუსები დაწინაურდნენ. მერვე წუთზე კირიჩენკომ პენალტით იხეირა. ტორპედოელებმა პირველივე ტაიმში გაქვითესო, იუწყება „როსტსელმაშის" საინტერნეტო გვერდი. 28-ე წუთზე აშვეთიას გაუთანაბრებია. მეორე ტაიმში არაფერი შეცვლილა და საბოლოოდ ფრე.

დაუზუსტებელი ინფორმაცია კია, მაგრამ ამბობენ, ბელგიაში მყოფი „ტორპედო" იქაურ „მოლენბეკს" გაეჯიბრა და 2:0 დაამარცხაო.

„მოლენბეკთან" დაკავშირებით ქართველი ქომაგისთვის საინტერესო სხვა რა უნდა იყოს, მაგრამ მაინც მოგახსენებთ, რადგან ეს ამბავი საქართველოს ეროვნული გუნდის ისტორიის ნაწილიცაა.



იოჰან ბოსკამპი

რამდენიმე დღის წინ „მოლენბეკმა" კლუბის საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. ეს პატივი ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელყოფილს, ჩვენში მყვირალა ჰოლანდიელად ცნობილ იოჰან ბოსკამპს ერგო.

თავის დროზე მოლენბეკელი 1978 წელს ბელგიის საუკეთესო მოთამაშედაც ულიარებიათ. ასეთი აღიარება მანამდე არც ერთ უცხოელს არ რგებია ბელგიაში.

...ჰოდა, ბოსკამპიო, უთქვამთ მოლენბეკელებს.

**დათო დანელია**




☎ (231) 7 17 58

**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩამ ვეტერინარები აღმოაჩინა

## ახალი ეტაპი ახალ პარტნიორთან ერთად

**იტალია.** უმბრიის მხარე. მთის ძირში აგებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო დამსვენებელთა განკარგულებაშია.

...სამი სავარჯიშო მოედანი, ორი დარბაზი კუნთების განსავითარებლად, ერთიც მინი ფეხბურთის სათამაშოდ... ორი საუნა, სამი გასახდელი, სპეციალური ავტობუსი თამაშზე თუ ექსკურსიებზე გასამგზავრებლად...

...საგანგებოდ ექიმის მიერ შედგენილი მენიუ, სამჯერადი კვება. აილე, რაც გენებოს, შვედური მაგიდა სავსეა ხორაგით. ნატურალური, უგემრიელესი წვენები...

ქალაქი ნორჩა... საფეხბურთო ტურნირი. ქალაქის ცენტრში, ვიტრინაშია გამოფენილი გამარჯვებულისთვის, საუკეთესო ფეხბურთელებისთვის განკუთვნილი პრიზები...

მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ტურნირი არ გახლავთ. ბევრია უცნობი გუნდი, თუმც ზოგიერთ გამოჩენილ კლუბსაც გამოუწევია ნორჩასკენ. მოკლედ, მთელი უმბრიის მხარე იმ დღეებში ფეხბურთით ცხოვრობდა.

...და ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი ერთად იყო საქართველოს ვიცეჩემპიონ „ვიტ ჯორჯიასთვის": ვეტერინარებს დღემდე არ განელებიათ იტალიური შთაბეჭდილებები, აკი ამბობენ კიდეც, 17 დღე სამოთხეში ვიყავითო.

„ნორჩას ზამთრის ტურნირში" მეოთხედფინალს უწია „ვიტ ჯორჯიამ". ნახევარფინალში მოსახვედრი გზა ბულგარულმა „ლიტექსმა" თამაშის ბოლოს გატანილი გოლით გადაუკეტა. „ლიტექსმა" ფინალიც მოიგო. სხვათა შორის, მთავარ მატჩში ბულგარელებმა ჩვენებურთა თანაჯგუფელი „სტიაუა" დაამარცხეს.

ტურნირის ბოლოს ორგანიზატორებმა ყველა მონაწილის თავკაცი იწვიეს. დახურვის ცერემონიალზე ვიტელთა პრეზიდენტ გურამ რუხაძეს სპეციალური პრიზი გადასცეს — „ვიტ



ალეკო გოგობერიშვილი

ჯორჯია" ტურნირის აღმოჩენა. ამ ჯილდოს იქნებ ფინალისტისთვის განკუთვნილი თასი სჯობდა, მაგრამ ჯერ ეს იყოსო, თავს იმშვიდებენ ვიტელები.

სულ 8 მატჩი ითამაშეს — ოთხი ტურნირზე, ოთხიც ამხანაგური. ყოველ მეორე დღეს თამაში, თანაც ორჯერადი და სამჯერადი ვარჯიშები საკმაოდ გადამღლელი უნდა ყოფილიყო.

...ბოლოს დაღლა მართლა დაგვეტყო, აღიარებენ ვეტერინარები, მაგრამ ჩემპიონატის განახლებამდე ჯერ კიდევ დროა და სათამაშო ფორმის პიკს თებერვლის ბოლოს ვუწევთო.

მწვრთნელები კმაყოფილნი არიან, ინდივიდუალური, ფიზიკური, ტაქტიკური და ზოგადი მზადყოფნა საუკეთესო გახლავთო.

...რბილი, მშრალი ჰავა, ჰაერის ტემპერატურა 12-14 გრადუსი. ირგვლივ სიმყუდროვე და სუფთა ჰაერი. არ იგრძნობოდა შორს, საქართველოში დატოვებული პრობლემები — უშუქობა, სიცივე, უვარგისი მინდორი, აბაზანაში კი ცხელი წყალი მოჩხრიალებდა.

ბოლოს ექსკურსია რომში... შთაბეჭდილებები უდიდესი... მერე კი აეროპორტი, თვითმფრინავი და ქართულ მიწაზე დაბრუნება. უშუქობა, სიცივე და ატალახებული მინდორი.

მწვრთნელებს ძირითადი ბირთვი ჩამოუყალიბებიათ. სულ 22 ფეხბურთელი შეირჩა. ახალწვეულებმა ნდობა გაამართლეს, გოგობერიშვილი, არსოშვილი, წუწუნავა, გოცირიძე და ადამია ვეტერინარები არიან. კლუბის თავკაცებმა საბოლოოდ ასე გადაწყვიტეს — მოსამზადებლად „ვიტ ჯორჯია" ზამთრობით იტალიაში წავა, ზაფხულობით კი გერმანიაში.

იტალიაში „ვიტ ჯორჯიამ" ერთი ახალი პარტნიორიც შეიძინა „CONSPORT" ფეხბურთელთა ტრანსფერებით და სხვადასხვა საფეხბურთო საქმეებითაა დაკავებული. გურამ რუხაძის თქმით, „სტიაუასთან" მატჩის შემდეგ მათ დაუკავშირდა „CONSPORT"-ის აღმასრულებელი დირექტორი ემანუელ მარკეტი და მოლაპარაკებაც შედგა.

„რამდენიმე დღეში ხელმოსაწერად გამზადებულ კონტრაქტს მივიღებთ და „CONSPORT"-თან ურთიერთობასაც იურიდიული ძალა მიეცემა. მარტის ბოლოს იტალიური კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვლენ. „CONSPORT" კი ივლისში „ვიტ ჯორჯიას" იტალიურ შეკრებას გაუწევს ორგანიზებას.

გაისად, თებერვალში, „ვიტ ჯორჯიას" საბაზო გუნდი იტალიაში ტურნირზეა მიწვეული. „CONSPORT", რომელიც ლაციოელი ნესტას, ინტერელი



კახა წუწუნავამ „ვიტ ჯორჯიას" თავი მოაწონა

დი ბიაჯოს და რომაელი რინალდის ინტერესების დამცველია, ამიერიდან „ვიტ ჯორჯიას" წარმომადგენელი იქნება.

„ვიტ ჯორჯიამ" ნაყოფიერი შეკრება გაიარა, კლუბის ხელმძღვანელებმა მართლაც ჩინებული საჩუქარი უძღვნეს ფეხბურთელებს. როგორ გამოიყენეს იტალიური შეკრება ვეტერინარებმა, ამას საგაზაფხულო ეტაპი გამოაჩენს.

**დათო დანელია**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე (ტორპედო), ხიზანიშვილი (ფულემი, ინგლისი), თ. აფციაური (დინამო), გონჩაროვი (ტრანსფერზეა), დავითაშვილი (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), გ. კვეტენაძე (მერანი), გ. ზოიძე (ლოკომოტივი 3), მანჯარაული (თბილისი), შედანია (ზოოვეტი), კვერნაძე (ტორპედო), გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 0:0, დილა 1:2, გაზოვიკ-გაზპრომი (რუსეთი) 1:1, ზემუნი (იუგოსლავია) 0:0, კრისტალი (რუსეთი) 0:2, ელჯი კორეა (კორეა) 1:1, ტორპედო ზილ (რუსეთი) 0:4, დინამო (რუმინეთი) 2:0, ურალანი (რუსეთი) 1:0 |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ქანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (კოლხეთი), ხვადაგიანი (დინამო, რუმინეთი), თურმანიძე (ნივა, უკრაინა), ჩხეტიანი, გ. გოგოლაძე, ბერელიძე (ზიმბრუ, მოლდოვა), კვერნაძე (ლოკომოტივი), მეგრელაძე (ლიკ, საბერძნეთი), მამალაძე, ძამსაშვილი (იბერია შევარდენი), შეყრილაძე, ვაჩიბერაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ყაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0, მონტენიე (ბელგია) 3:0, მოლენბეკი (ბელგია) 2:0, როსტსელმაში (რუსეთი) 1:1 |
| **დინამო** *?* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ვაშაკიძე (ტორპედო), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), შელია, რუხაძე, ქარდავა (ალანია, რუსეთი), სიჭინავა (კრისტალი, რუსეთი), გადელია (ტორპედო ზილ, რუსეთი), შ. ხუჯაძე (მერანი); რევაზ არველაძე (მთავარი მწვრთნელი) | იაგორაშვილი (პრიოზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯავა, (დინამო 2), თ. აფციაური (ლოკომოტივი) | დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1, მერანი 1:0, 0:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1, ასკოლი (იტალია) 6:0, სტიაუა (რუმინეთი) 0:1, ლიტექსი (ბულგარეთი) 0:1, პოლონია (პოლონეთი) 2:2, მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) 1:1, დილა 4:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (მერანი), თედეევი (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი), კიკლიაშვილი, გოგიაშვილი (?) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნივნივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), შალამბერიძე, ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0, დინამო (სტავროპოლი, რუსეთი) 2:2, 0:2, ობოლონი (კიევი, უკრაინა) 0:0, ბალკანი (ტემკანი, ბულგარეთი) 0:0, სლანჩევ ბრიაგი (ნესებრი, ბულგარეთი) 0:1 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა), გ. კვეტენაძე (ლოკომოტივი), კობესაშვილი (სიონი), კაკუბავა (?, რუსეთი) | მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვეკვესკირი (მუქურა), რ. ონიანი, გოგიტაძე (ზუგდიდი), დავითნიძე (კოლხეთი), შ. ხუჯაძე (დინამო), ბ. ამბიძე (ვოლგარ გაზპრომი, რუსეთი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | დინამო 0:1, 2:0, იბერია შევარდენი 2:1, დილა 3:2 |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე, თარგამაძე, ბ. შენგელია (სიონი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქერაშვილი (?) | ქანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, თ. ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი) | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნივნივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე, ბ. შენგელია, სიდამონიძე (ბათუმი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ), კობესაშვილი (მერანი) | ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2, გორდა 0:0, იბერია შევარდენი 0:0, 0:0 |
| **გორდა** *გია გეგუჩაძე* | ივერიანი (იბერია შევარდენი); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ), ჯულელი (გურია); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0, სიონი 0:0, თბილისი 2:0, ზოოვეტი 5:0, მუქურა 1:2, მეტალურგი 1:0 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1, თსუ 0:2, მერანი 2:3, ვიტ ჯორჯია 1:4 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლამაზაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ქილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1, დილა 2:0 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე (სამგურალი), ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | მამალაძე, ძამსაშვილი (ტორპედო), ტარიელაშვილი (თორი), ივერიანი (გორდა), მალანია (ავაზა), ჩლაიძე (არ თამაშობდა); ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2, სიონი 0:0, 0:0, მერანი 1:2 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. A ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი 1:1 ვალენსია

1:0 კოული (12), 1:1 ბრაუნი (88ს.კ.)
მანჩესტერ იუნაიტედი: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, კინი, ბექემი, სქოულზი, გიგზი (ბათი 18), შერინგემი (სოლსკიაერი 63), ენდი კოული
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო (ხუან სანჩესი 65), ბარახა, მენდიეტა, კილი გონსალესი (ვისენტე 76), აიმარი, კარეუ
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ბათი, ბექემი, ბარახა, კარბონი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
66 715 მაყურებელი

**მატჩის** 88-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა თამაშის დასრულებამდე 14 წუთით ადრე შესულმა 19 წლის როდრიგეს ვისენტემ მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, მანჩესტერელთა საჯარიმოს მიუახლოვდა და კარის გასწვრივ ალალბედზე ჩააწოდა. ბედი გვქონიაო, ვისენტემ და „ვალენსიამ" უნდა თქვან, უესლი ბრაუნმა კარიდან პასის ჩასაჭრელად გამოსული ფაბიენ ბარტეზი ვერ შეამჩნია და ვარდნაში ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ საკუთარ კარში გაიტანა. შეხვედრაც ფრედ დასრულდა — 1:1. თამაშის შემდეგ მანჩესტერელებს ბრაუნის ალალი ცრემლი შეუმჩნევიათ და ძლივს დაუწყნარებიათ.

„სანამ გიგზი მინდორზე იყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მისი გასვლის მერე კი გუნდი მოიშალა. სამწუხაროდ, იგი ვერც „არსენალთან" ითამაშებს. გაშვებულმა გოლმა იმედი ძალიან გაგვიცრუა. მოგების შემთხვევაში, ფაქტობრივად, მეოთხედფინალში გავდიოდით. არა უშავს, ბრაუნმა გული არ უნდა გაიტეხოს. ასეთი რამ ნებისმიერს შეეძლო შემთხვეოდა" — ფრის მიუხედავად, ენაწყლიანი გახლდათ ალექს ფერგიუსონი, „იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი.

მანჩესტერელებმა „ოლდ ტრაფორდზე" კარგად დაიწყეს და მალე დაწინაურდნენ კიდეც — გიგზი-კოულის კომბინაცია ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით დააგვირგვინა. ამის მერე კი... გუნდები შესვენებაზე ისე წავიდნენ, საგოლე მომენტი თითქმის არ შეუქმნიათ. ერთადერთი გამონაკლისი ვალენსიელთა არგენტინელი ახალწვეული პაბლო აიმარი გახლდათ, რომელიც 25-ე წუთზე ბარტეზთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა.

მეორე ნახევარში ტერიტორიულ უპირატესობას ესპანელები ფლობდნენ. „ვალენსია" კი უტევდა, მაგრამ სახეიროს ვერაფერს ქმნიდა. მარცხსაც ვერ გადაურჩებოდა, ბრაუნს რომ...

„შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან კარგად ვიცი მეტოქის შესაძლებლობები. „მანჩესტერ იუნაიტედი" ის გუნდია, რომელსაც დაწინაურების შანსი არ უნდა მისცე, თორემ განწირული ხარ. მისთვის ანგარიშის გაქვითვა უძნელესი საქმეა. ჩვენ კი ეს შევძელით. ახლა ბედი ჩვენსავე ხელშია" — კმაყოფილი იყო ნამატჩევს „ვალენსიას" თავკაცი, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი.


THE SUN

მანჩესტერ იუნაიტედი — ვალენსია 1:1.
უესლი ბრაუნს (მარჯვნივ) მისამართი შეეშალა: ბურთი ფაბიენ ბარტეზს გაუტანა

### პანათინაიკოსი 1:2 შტურმი

0:1 შოპი (25), 0:2 ჰაასი (41), 1:2 გუმასი (73)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ფისასი (სარიჩი 46), ჰენრიკსენი, გუმასი, ვოკოლოსი (ბოატენგი 55), ბასინასი, ნასიოპულოსი, ოლივარესი, ვარგიზა (ვლაოვიჩი 69), კარაგუნისი, ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, კორსოში, პრილასნიგი, შოპი, შუპი, ფლურკინი, მინავანდ ჩალი (იბერტსბერგერი 84), ვასტიჩი, კოციანი (მლინკა 90), ჰაასი (საბიჩი 69)
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გაფრთხილება: ნოიკირხნერი, შოპი, ვოკოლოსი, ვასტიჩი, ბოატენგი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი

„**პირველ** ტაიმში უმაღლესი კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ, ისეთი, როგორიც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას შეეფერება. წარმატების გვჯეროდა და მივაღწიეთ კიდეც. ახლა „ვალენსიას" ჯერია. ესპანელებსაც თუ მოვუგებთ, შემდეგ ეტაპზე გავსულვართ და ესაა" — გახარებული იყო თამაშის შემდეგ მარკუს შოპი, პირველი გოლის ავტორი.

„პანათინაიკოსი" — „შტურმის" მატჩის 90 წუთი ისე გაილია, სტუმრებმა სულ სამი რეალური მომენტი შექმნეს, სამივე პირველ ტაიმში, აქედან ორი კი გოლით დასრულდა. ორივე კონტრშეტევის შედეგად გავიდა. 25-ე წუთზე მინავანდის ჩაწოდებული ბურთი შოპს ფეხზე კარგად მოაჯდა, ნიკოპოლიდისიც გვიან გადახტა და ანგარიშის გახსნას ხელი ვერ შეუშალა. 42-ე წუთზე ბერძნებს ჰაასი გაექცათ, რომელმაც მეკარე იოლად ჩამოიცილა და ცარიელ კარში გაიტანა. ამ გოლებს შორის ჰაასი ერთხელაც გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მაშინ ვერ ივარგა.

შეხვედრაში ფავორიტად მასპინძლები ითვლებოდნენ, ბოლო-ბოლო, ბერძნები საკუთარ კედლებში თამაშობდნენ, სადაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძთ, მაგრამ სამშაბათს ათენში სულ სხვაგვარი სიტუაცია სუფევდა. ჩემპიონთა ლიგის მატჩი „პანათინაიკოსს" ნახევრად ცარიელ სტადიონზე არასდროს უთამაშია, ტრიბუნებზე სულ 20 ათასი ქომაგი იჯდა.

მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა შეტევებით დაიწყეს, რომლებიც ძირითადად კარში დარტყმით მთავრდებოდა, მაგრამ სიდორჩუკი მაგრად იდგა. ბერძნებმა ზეწოლა განსაკუთრებით შესვენების შემდეგ გააძლიერეს, მაგრამ სიდორჩუკი შეუვალი გახლდათ. „შტურმის" მეკარემ თავისიანები არაერთხელ იხსნა. განსაკუთრებით მაშინ გამოიდო თავი, როცა მასთან შეყრილ ბოატენგს ფეხით სასწაულებრივ აუღო. 64-ე წუთზე კი მსაჯმა სიდორჩუკი აშკარად დაინდო, როცა ნასიოპულოსის საჯარიმოში წაქცევას ყურადღება არ მიაქცია. 72-ე წუთზე კი არც განძრეულა, გუმასის თავურის შემდეგ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა, იგი კი კარის ბადეში აღმოჩნდა.

და მაშინ, როცა ყველამ გაიფიქრა, „პანათინაიკოსი" ძალას მოიკრებს და მეტოქეს საკუთარ კარს მიაჯაჭვავსო, ათენელი მოეშვნენ და მატჩი ისე დაასრულეს, სახეირო ალარაფერი შეუქმნიათ.

„თამაში, სამწუხაროდ, ისე არ წარიმართა, როგორც ველოდით. ჩვენივე სულელური შეცდომების გამო ორი ბურთი გავუშვით, მერე კი მატჩის შემოტრიალება შეუძლებელი იყო, იღბალიც ავსტრიელებს უღიმოდა. ვულოცავ „შტურმს" ამ წარმატებას" — ეს სიტყვები მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „პანათინაიკოსის" მწვრთნელმა ანგელოს ანასტასიადისმა თქვა. მერე კი ჟურნალისტებს ამცნო, გადავდექიო.

ამ ჯგუფში ბევრი რამ 7 მარტს გაირკვევა, როცა „შტურმი" „ვალენსიას" უმასპინძლებს.

**ვანო ოქრობირიძე**

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 13.03 | 3:1 | 6:2 | 8 |
| 2 | ვალენსია | 0:0 | | 2:0 | 13.03 | 3:1 | 6 |
| 3 | შტურმი | 0:2 | 7.03 | | 2:0 | 4:5 | 6 |
| 4 | პანათინაიკოსი | 7.03 | 0:0 | 1:2 | | 2:7 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. B ჯგუფი

### პარი სენ ჟერმენი 1:1 მილანი

1:0 რობერი (75), 1:1 ხოსე მარი (91)
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ა. სისე (დიუკრო 61), დეუ დოსტინი, დომი, არტეტა, ე. სისე, ბენარბია (ლუქაენი 70), ლეროუა (რაბესანდრატანა 86), ანელკა, რობერი
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, სალა, მალდინი, ბა (შამოტი 71), კოკო, გატუზო, ალბერტინი, სერჟინიო (ხოსე მარი 78), შევჩენკო, ლეონარდო (ბობანი 82)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ჰელვეგი, გატუზო, შამოტი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
41 450 მაყურებელი

„**თამაში** მსაჯმა გააფუჭა. წარმოუდგენელია სამჯერ დაუსტვინო ოფსაიდის გამო და აქედან ორჯერ გამოიგონო. მესმის, რომ ადამიანი შეიძლება ერთხელ შეცდეს, მაგრამ ის, რაც აქ მოხდა, ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა. მე თუ მკითხავთ, დღეს კარგად ვითამაშეთ, საგოლე მომენტებიც შევქმენით, მაგრამ, ვიმეორებ, მსაჯმა ყველაფერი გააფუჭა" — აი, ეს თქვა „პარკ დე პრენსზე" თამაშის დამთავრების შემდეგ მილანელთა ბომბარდირმა ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც გოლი ვერ გაიტანა.

მის თანაგუნდელთაგან გოლი ხოსე მარიმ შეაგდო. უფრო სწორად მოედანზე მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე შეცვლაზე შესულ ხოსე მარის, ალბერტინის დარტყმული ბურთი ფეხზე მოხვდა და ამის მერეღა აღმოჩნდა პარიზელთა კარში. ხოლო რაც შეეხება მსაჯს, მისადმი პრეტენზია შეიძლება „პარი სენ ჟერმენსაც" ჰქონდეს — პირველ ტაიმში თამაშგარეში მყოფ ნიკოლა ანელკას მეტოქის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი მიუვიდა და გოლიც გაიტანა, მაგრამ არბიტრმა არ ჩათვალა.

„ფეხბურთელების ნაცვლად დამწყდა გული. ჩვენი თამაში მომეწონა და ამიტომაც ძალიან ძნელი იყო იმის განცდა, რაც ბოლოწამს დაგვემართა. არა უშავს, ლა კორუნიაში თუ გავიმარჯვებთ, მეოთხედფინალში გასვლის შანსი კიდევ გვექნება" — განაცხადა პარიზელთა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა.

მასპინძლებმა ანგარიში მეორე ტაიმის 30-ე წუთზე გახსნეს, როდესაც „მილანის" საჯარიმოსთან ჯარიმა დაინიშნა. ჯარიმის დასარტყმელად ლორან რობერი მოემზადა. მისი პირველი დარტყმა ცოცხალი კედლიდან ნაადრევად გამოვარდნილ ჯენარო გატუზოს მოხვდა და მსაჯმა, რომელიც ჩვენი მიმოხილვის მთავარ გმირად იქცა, რობერს ხელმეორე ცდის საშუალება მისცა. ხელმეორე ცდა წარმატებით დასრულდა.

„გოლის გატანის შესაძლებლობები გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ანგარიში ჩვენ რომ გაგვეხსნა, მერე სხვა თამაში წავიდოდა. სამწუხაროა ისიც, რომ პირველ შეხვედრაში, „სან სიროზე" ვერ გავიმარჯვეთ, თორემ ახლა ჯგუფში სხვა მდგომარეობა იქნებოდა და თავი ქუდში გვექნებოდა. იყო დაღებითი მომენტებიც, კერძოდ, მომეწონა ჩვენი საბრძოლო სულისკვეთება და საგოლე მომენტების რაოდენობა. ამასთან, თქვენი ყურადღება ასეთ რამეს მინდა მივაპყრო: „პარი სენ ჟერმენთან" ორ შეხვედრაში შევჩენკო ოთხჯერ თუ ხუთჯერ დარჩა ოფსაიდში. ამ ეპიზოდებში გადამწყვეტი მსაჯთა გადაწყვეტილება იყო. მათ რომ სხვაგვარად შეეფასებინათ, დღეს სულ სხვა სურათი გვექნებოდა. ასეა თუ ისე, დღეს ბიჭებმა ძალიან მომაწონეს თავი" — ფეხბურთელზე მეტად მწვრთნელისთვის შესაფერისი შეფასება გააკეთა პაოლო მალდინიმ.

„აი, ბატონო, ეს არის იტალიური ფეხბურთი" — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო თანამემამულეებს „მილანის" ფრანგმა ნახევარმცველმა იბრაჰიმ ბამ, აქაოდა, იტალიაში თამაში ბოლო წუთამდეა და გოლს მსაჯის საფინალო სასტვენამდე უნდა ელოდოო — „ასეთი რამ ხშირად ხდება".

და ბოლოს, მსაჯი, რომელზეც ამდენი ილაპარაკეს და გვალაპარაკეს, ჰოლანდიელი იან ვეგერეეფი გახლდათ.

### დეპორტივო 2:0 გალათასარაი

1:0 ვიქტორი (40), 2:0 ჯალმინია (73პ)
დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ვიქტორი (სკალონი 83), ფრანი (მაკაი 63), ჯალმინია (პანდიანი 75), ვალერონი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გალათასარაი: ტაფარელი, ველათი, ფათიჰი, პოპესკუ, კაპონე, ოკანი, [illegible] (ა[illegible] 46), ერგუნი, ბიულენთ აქინი, ჰაჯი (არიფი 80), ჟარდელი (სერქანი 80)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ველათი, პოპესკუ, ბიულენთ აქინი, მაურო სილვა, ოკანი, ჰაჯი
გაძევება: ველათი (58)
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
31 000 მაყურებელი

ვიქტორმა, ეტყობა, საბოლოოდ გმირობა გადაწყვიტა: გახსოვთ, შაბათს, ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონას" „კამპ ნოუზე" ორი გოლი რომ გაუტანა და დიდებულ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა? მანვე სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ასევე უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში, „გალათასარაის" წინააღმდეგ ანგარიში გახსნა და „დეპორტივოს" 2:0 გამარჯვებისკენ წარუძღვა.

მე-40 წუთი იდგა, როდესაც ჯალმინიამ სტამბოლელთა კარისკენ დაარტყა, მაგრამ ასხლეტილი ბურთი ვიქტორს მიუგორდა და შეტევა წარმატებით დასრულდა. 58-ე წუთზე „გალათასარაი" უმცირესობაში დარჩა: ველათი კვლავ და კვლავ ვიქტორს უკნიდან დაესხა თავს და წითელი ბარათით დაისაჯა.

მეორე ტაიმში, თამაშის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე, ჯალმინიამ ესპანელთა გამარჯვებას ბეჭედი დაუსვა. მან პენალტით შეაგდო, ხოლო პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ შეცვლაზე შესული აჰმეთი საჯარიმოში ბურთს ხელით გაეთამაშა.

ამრიგად, B ჯგუფში კაცი ველარ გაიგებს, რა ხდება და რა მოხდება.

„დეპორტივომ" წინა ორი შეხვედრა წააგო და ამიტომ „გალათასარაი" აუცილებლად უნდა დაემარცხებინა. საამისოდ, მან ბურთის მოხელთება გადაწყვიტა და მართლაც, დასაწყისიდანვე აკონტროლებდა თამაშს, მაგრამ, კარის სიახლოვეს ნერვიულობა უშლიდა ხელს. 25-ე წუთზე ნურედინ ნაიბეტმა რომეროს პასით თავური დაარტყა. ოღონდ ეს ეპიზოდი, რომელიც იოლად შეიძლებოდა გოლით დასრულებულიყო, მხოლოდ ემოციური გამოდგა. ამის შემდეგ ვიქტორმა ხარიხას აძგერა ბურთი, რომელიც ჯალმინიასთან ჩამოვარდა, მაგრამ სტამბოლელთა ბრაზილიელმა მეკარემ, კლაუდიო ტაფარელმა თანამემამულეს გახარების საშუალება არ მისცა.

შეხვედრის დასაწყისში „გალათასარაის" ერთადერთი შანსი ჰქონდა — მე-15 წუთზე ოქანმა ხელსაყრელ პოზიციაზე რუმინელი გეორგ ჰაჯი გაიყვანა, მაგრამ მისი დარტყმა კამერუნელმა გოლკიპერმა ჟაკ სონგომ მოიგერია. შეგახსენებთ, რომ სონგო „დეპორტივოს" მთავარი მეკარე არ არის. იგი დაშავებული ხოსე მოლინას ნაცვლად იდგა მასპინძელთა ძელებს შორის.

შემდეგ, ვიქტორმა ანგარიში გახსნა, თუმცა ტაიმთა გასაყარზე სტამბოლელებს მაინც შეეძლოთ გაქვითვა: მარიო ჟარდელმა თავური დაარტყა, რომელიც ისევ სონგოს ლუკმა გახდა.

შესვენების შემდეგ თურქებმა მეტი დაჟინების გამოვლენა სცადეს, მაგრამ რეალურად ვერაფერს გახდნენ, მით უფრო მას მერე, რაც მოედნიდან ველითი გააძევეს.

„ველითის მიმართ მსაჯი მეტისმეტად მკაცრად მოიქცა. მინდა გავიხსენო ეპიზოდი, როდესაც მან მასპინძელ მაურო სილვას ზუსტად ისეთსავე ვითარებაში აპატია" — დაიჩივლა შეხვედრის დამთავრების შემდეგ „გალათასარაის" მწვრთნელმა, რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ — „დავამატებ, რომ პენალტი, რომელიც ჩვენს კარში დაინიშნა, გამოგონებული გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ „დეპორტივომ" მართლაც ჩინებულად ითამაშა, შედეგი მაინც ტრიბუნების ზეწოლამ განაპირობა".

**ბაჩუნა ძიდია**


REUTERS და ...

დეპორტივო — გალათასარაი 2:0.
ჯალმინიამ მეორე ხომ პენალტით გაიტანა, პირველშიც წილი დაიდო

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი | | 7.03 | 1:0 | 1:0 | 4:4 | 7 |
| 2 | მილანი | 2:2 | | 13.03 | 1:1 | 5:4 | 6 |
| 3 | დეპორტივო | 2:0 | 0:1 | | 7.03 | 5:3 | 6 |
| 4 | პსჟ | 13.03 | 1:1 | 1:3 | | 3:6 | 2 |

# უეფას თასი. მერვედფინალის საპასუხო მატჩები. 22 თებერვალი

ინტერი (იტალია) — ალავესი (ესპანეთი) (3:3)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი) (0:0)
ბარსელონა (ესპანეთი) — აეკ (საბერძნეთი) (1:0)
პარმა (იტალია) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:2)
სელტა (ესპანეთი) — შტუტგარტი (გერმანია) (0:0)
ბორდო (საფრანგეთი) — რაიო ვალეკანო (ესპანეთი) (1:4)
ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია) (2:0)
ნანტი (საფრანგეთი) — პორტუ (პორტუგალია) (1:3)



რომაული დამშვიდობება: მოწყალე ჟერარ ულიე და დარცხვენილი ფაბიო კაპელო

**დღეს** უეფას თასზე მონაწილე კლუბების მწვრთნელთაგან ყველაზე მეტად, ალბათ, გერმანული „შტუტგარტის" თავკაცი რალფ რანგნიკი ინერვიულებს. ამის საფუძველი მას ნამდვილად აქვს — შაბათს, ბუნდესლიგაში „ჰერტასთან" საშინაო მარცხის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელის მოყვანაზე ალაპარაკდა და თურმე კანდიდატებსაც არჩევს. ეს ინფორმაცია სამშაბათს „შტუტგარტის" პრესატაშე ოლივერ შრაფტმა კი უარყო, მაგრამ...

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებსო, სწორედ ამ გუნდის უფროსობაზეა ნათქვამი. გუშინ გაცხადდა, რომ კლუბის სპორტული დირექტორი როლფ რიუსმანი „კაიზერსლაუტერნის" ყოფილ მწვრთნელს, ამჟამად უმუშევარ ოტო რეჰაგელს შეხვედრია და მისთვის პირობები გაუცნია. ერთი ფეხის დაცდენა და რანგნიკს, ალბათ, ჩემოდნის ჩალაგება მოუწევს.

თითქოს ეს არ ეყოფოდაო, მწვრთნელს დღეს ვიგოში „სელტასთან" საპასუხო მატჩის წინ ახალი პრობლემები დაემატა. „სელტას" წინააღმდეგ „შტუტგარტი" ერთობ შესუსტებული შემადგენლობით გავა მინდორზე. გერმანელებს არ ეყოლებათ თავიანთი მთავარი დამრტყმელი ძალა, ბულგარელი კრასიმირ ბალაკოვი, რომელსაც კუნთები სტკივა. ტრავმები აწუხებთ იოხენ ენდრესს, თომას შნაიდერსა და იენს ტოდტს, ხოლო ჰაიკო გერბერსა და სილვიო მაისნერს სამ-სამი ყვითელი ბარათი აქვთ და ამის გამო დააკლდებიან გუნდს. „ჰერტადან" ცოტა ხნის წინ ნათხოვარმა რუი მარკეშმა კი ბერლინელთა რიგებში უკვე ითამაშა უეფას თასზე, ამიტომ დღეს მინდორზე გასვლის უფლება არ აქვს. რანგნიკს ცოტაოდენ შვებას ის თუ მოჰგვრის, რომ პაბლო ტიამი და რუდიგერ კაუფი „სელტასთან" შეხვედრისთვის ისევ მის განკარგულებაში არიან. საშინაო 0:0-ის მერე სტუმრებს ფრეც აძლევს ხელს.

წინასწარი ინფორმაციით, „შტუტგარტს" ოპტიმალური შემადგენლობით ელოდება „სელტა". „ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაა. შანსები, ვფიქრობ, ჩვენ უფრო მეტი გვაქვს. მართალია, დღესდღეობით ორივე გუნდი ცუდ ფორმაშია, მაგრამ „შტუტგარტის" მდგომარეობას მე უფრო კრიზისს ვუწოდებდი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანელებს თვითდაჯერებულები დავუხვდებით" — აცხადებს მატჩის წინ ვიგოელთა თავკაცი ვიქტორ ფერნანდესი.

უეფას თასს შემორჩენილი მეორე გერმანული გუნდი, „კაიზერსლაუტერნი" ჩეხურ „სლავიას" მასპინძლობს. ამ გუნდების პირველი მატჩიც უგოლოდ დასრულდა. ერთი კვირის წინ მატჩის გმირი „ლაუტერნის" მეკარე გეორგ კოხი გახდა, რომელმაც ბევრჯერ გააწბილა პრაღელები. იმ თამაშისგან განსხვავებით, დღეს მასპინძელთა შორის, ალბათ, ვიხილავთ ფრანგ იური ჯორკაეფს, რომელსაც ბოლო დროს ტრავმები აწუხებდა.

ახლა სხვებზეც ვთქვათ.

იტალიური კლუბები სერია Ð-ს უეფას თასზე მეტ პატივს სცემენ, მაგრამ რა ქნას იტალიურმა გუნდმა, თუ სკუდეტოს დაუფლების შანსი არ აქვს, ევროტურნირზე კი ასე თუ ისე, წინ მიიწევს? ამ შემთხვევაში გუნდის წარმომადგენელმა გულშემატკივრები უნდა დაარწმუნოს, რომ უეფას თასი ხელწამოსაკრავი რამ არაა და, რომ მისი მოპოვება ისევე საპატიოა, როგორც ნებისმიერი სხვა ჯილდოსი, თუნდაც იგივე სკუდეტოსი. სწორედ ასეთი რამ განაცხადა მილანის „ინტერის" კაპიტანმა ლორან ბლანმა, „ალავესთან" საპასუხო მატჩის წინ.

მართლაც რა ქნას „ინტერმა", აგერ სერია A-ს ბოლო ტურში თავისზე წყალწაღებულ „ნაპოლისთან" დამარცხდა და ქომაგები სულ მთლად გადაიმტერა.

პირველ მატჩში „ინტერი", გეხსომებათ, „ალავესს" 3:1 უგებდა და ფრესლა დასჯერდა. თუმცა საპასუხო მატჩის წინ ფავორიტებად მაინც იტალიელები ითვლებიან, რაზეც ალბათ, მათი ერთ დროს მრისხანე სახელიც მოქმედებს. „ინტერს" დღეს ერთი მისიაც აკისრია, როგორმე ესპანელთა ბატონობა უნდა შეასუსტოს, რადგან „ბარსელონა", „რაიო ვალეკანო" და „სელტა" თავიანთ წყვილებში ფავორიტებად ითვლებიან, ჰოდა, მეოთხედფინალში მეოთხე ესპანური გუნდიც თუ გავიდა...

„ინტერმა" იტალიელთა საქმეც უნდა გააკეთოს, რადგან „რომა" და „პარმა" მეტოქეებს ან დაჯაბნიან, ან არა და იტალიასაც ხომ უნდა შემდეგ ეტაპზე ერთი გუნდი მაინც.

მეტად ცუდადაა ფრანგების საქმე. ბოლოს 1993-94 წლების სეზონში მოხდა, რომ საფრანგეთს რვა საუკეთესო უეფელს შორის გუნდი არ ჰყოლია. წესით და რიგით, ახლაც იგივე უნდა მოხდეს — „ბორდოს" 1:4, ხოლო „ნანტს" 1:3 აქვთ ამოსაქაჩი.

ერთი კვირის წინანდელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესო მაინც „რომა" — „ლივერპული" გახლდათ და საპასუხო მატჩებიდანაც ამ წყვილის ენფილდური ბრძოლა უნდა იყოს გამორჩეული.

მაშინდელის მსგავსად, გაბრიელ ბატისტუტა თამაშის დაწყებას კვლავ სათადარიგოთა სკამზე შეხვდება, ხოლო ფრანჩესკო ტოტი და ალდაირი კვლავაც ვერ ითამაშებენ. საეჭვოა, ემერსონის გამოჩენაც, რომელსაც კუნთი აქვს დაჭიმული და ფიქრობენ, რომ რისკს მოერიდება. ტოტის ნაცვლად ფაბიო კაპელო იაპონელი ჰიდეტოში ნაკატას გაყვანას აპირებს.

პრობლემები აქვს „ლივერპულსაც", მაგრამ სულ სხვა სახისა. კვირას გუნდს ინგლისის ლიგის თასის ფინალი აქვს სათამაშო და ჟერარ ულიე ზოგიერთი ფეხბურთელის იმ მატჩისთვის შენახვას აპირებს (შეიძლება თქვათ, აბა, ეს რა პრობლემააო). რომ სტივენ ჯერარდი და დენი მერფი არ ითამაშებენ. „რომას" დახვედრის წინ მაიკლ ოუენს, „სტადიო ოლიმპიკოს" გმირს უთქვამს, ნახეთ, რომელ ადგილზეა „რომა" სერია A-ში და მერე განსაჯეთ, რა ძალის გუნდი დავამარცხეთ მისსავე მოედანზეო.

თუ „ლივერპულმა" ორბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნა, მეოთხედფინალში „პორტუს" ან „ნანტს" დაუპირისპირდება. საფიქრებელია, რომ ეს მაინც „პორტუ" იქნება, თუმცა პორტუგალიელებს დღეს კაპიტანი ჟორჟე კოშტა და ჟოზე ესკუერდინია არ ეყოლებათ, ხოლო „ნანტს" ვიორელ მოლდოვანი დაუბრუნდა.

„პარმას" თითქოს მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეს „პსვ ეინდჰოვენისთვის" თუნდაც 1:0 მოგება, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ ლილიან ტურამის, მატიას ალმეიდას და ჯანლუკა ფალსინის თამაში ეჭვგარეშეა. პარმელთა ახალმა მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ ალბათ, თავი დაიზღვია, როცა თქვა, პსვ ის გუნდია, რომელსაც თვალდახუჭული შეუძლია თამაშიო.

**ვანო ოქროპირიძე**
**გიორგი დარჯანია**



კუნთმტკივანი კრასიმირ ბალაკოვი (№10) „შტუტგარტს" დღეს ვეღარ დაეხმარება

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიურმა** „ინტერმა" სურვილი გამოთქვა, „რივერ პლეიტის" ფეხბურთელი მარიო იეპესი შეიძინოს. მილანელებმა ბუენოსაირესელებს კოლუმბიელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 11 მილიონი დოლარი შესთავაზეს და სამხრეთამერიკელს „სან სიროზე", ალბათ, სეზონის ბოლოს გადაიყვანენ. „ინტერმა" სხვა ფეხბურთელებსაც დაადგა თვალი. კერძოდ, მონტევიდეოს „ნასიონალის" 19 წლის გარემარბ ალვარო მენესეს, აგრეთვე „პერუჯას" ნახევარმცველ ფაბიო ლივერანის და მათ კლუბებთანაც გააჩაღებს მოლაპარაკებებს.

**ფრანგმა ნახევარმცველმა ჟილ გრიმანდიმ „არსენალთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და „ჰაიბერიზე" 2002 წლის ზაფხულამდე დარჩება. „კმაყოფილი ვარ, რომ ლონდონში კიდევ მეტი ხნით დავრჩები. ჩემს შესაძლო ტრანსფერზე ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ მე დავამტკიცე, რომ „არსენალში" თამაშით ბედნიერი ვარ. ვიმედოვნებ, რომ დარჩენილ დროში გუნდთან ერთად რაიმე სერიოზულ წარმატებას მივაღწევ" — განაცხადა 32 წლის გრიმანდიმ, რომელიც ლონდონური კლუბის ღირსებას 1997 წლიდან იცავს.**

**შოტლანდიის** ჩემპიონატის ლიდერმა გლაზგოს „სელტიკმა" ახალგაზრდა თავდამსხმელი მარკ ბერჩილი დროებით პრემიერლიგურ „იფსვიჩ თაუნში" გაანათხოვრა. 20 წლის ფეხბურთელმა სეზონის პირველი ნახევარი პირველდივიზიონურ „ბირმინგემ სიტიში" გაატარა, მაგრამ შემდეგ კლუბს პირობებზე ვერ შეუთანხმდა და კვლავ შოტლანდიაში დაბრუნდა. თუმცა ვერც „სელტიკის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. იუწყებიან, რომ ზაფხულში „იფსვიჩმა" „სელტიკს" შესაძლოა 1,5 მილიონი გირვანქა გადაუხადოს და ბერჩილი საბოლოოდ დაიტოვოს.

**გერმანულმა „ჰერტამ" ერთ-ერთი ქვედალიგური კლუბიდან 19 წლის მცველი დენის ლაპაჩინსკი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ იგი გერმანიაში ერთ-ერთ პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება და როგორც ამბობენ, ესპანეთისა და იტალიის სხვადასხვა კლუბებიც ეპატიჟებოდნენ. დენისი უკვე ბერლინური კლუბის საკუთრებაა, თუმცა ახალ გუნდს მხოლოდ ზაფხულიდან შეუერთდება. „ჰერტასთან" მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „სასიხარულოა, ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი მოთამაშე გადმოვიბირეთ" — განაცხადა ბერლინელთა წარმომადგენელმა.**

**ესპანელი** ფორვარდის, დანი გარსიას ხელში ჩასაგდებად ერთბაშად ორი კლუბი — „ვალენსია" და „მიდლსბრო" იბრძვის. დანი „ბარსელონაში" 1999 წელს „მალიორკადან" გადავიდა. თუმცა კატალონიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და არ გამორიცხავენ, რომ „კამპ ნოუ" დატოვოს. ერთ-ერთი ინგლისური სააგენტო იუწყება, რომ „მიდლსბრო" ფორვარდის სანაცვლოდ კატალონიელებს 9 მილიონ გირვანქას სთავაზობს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ დანი თავიდან მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა.

**ინგლისური „უიმბლდონის" ფორვარდი პოლ რობინსონი ამიერიდან განათხოვრებით შოტლანდიურ „დანდი იუნაიტედში" ითამაშებს. საიჯარო შეთანხმება სეზონის ბოლომდეა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, შოტლანდიელებმა ინგლისელებს ფული გადაუხადონ და 22 წლის ფეხბურთელი საბოლოოდ დაიტოვონ. რობინსონი „უიმბლდონში" სეზონის დაწყებამდე ჩაირიცხა და მის სანაცვლოდ ლონდონელებმა 1,5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, თუმცა თავდამსხმელმა ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და კლუბის გამოცვლა არჩია.**

**ინგლისურმა** „ნიუკასლ იუნაიტედმა" „შეფილდ იუნაიტედის" ნახევარმცველი უეინ ქუინი შეიძინა და პირველდივიზიონელებს სანაცვლოდ 1,5 მილიონ გირვანქა გადაუხადა. 24 წლის ფეხბურთელი „სენტ ჯეიმზის პარკზე" შემოწმებას იანვრის დასაწყისიდან გადიოდა. ბობი რობსონმა იგი მოიწონა და საბოლოოდ დაიტოვა. თუ ქუინი „ნიუკასლში" თავს გამოიჩენს, „შეფილდ იუნაიტედი" დამატებით გარკვეულ თანხას კიდევ მიიღებს. ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი ახალ მოთამაშეს მარცხენა ფრთაზე დაცვაში, ხანაც ნახევარდაცვაში გაამწესებს, ქუინმა სადებიუტო მატჩი შესაძლოა მომავალ ტურში ჩაატაროს.

**იტალიურმა „მილანმა" „ვიჩენცას" თავდამსხმელ ლუკა ტონის დაადგა თვალი. იუწყებიან, რომ „სან სიროს" ბინადარმა ფეხბურთელის თამაშის სანახავად წინა ტურში საგანგებოდ ხალხიც გაგზავნა. ტონის „ატალანტას" წინააღმდეგ გოლი არ გაუტანია. თუმცა ბერგამოდან ქულის წამოღებაში დიდი წვლილი დაიდო. აღსანიშნავია, რომ „ვიჩენცას" ფორვარდს სხვა ძლიერი კლუბებიც აკვირდებიან, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი", „ტოტენჰემი", „პარმა" და „იუვენტუსი". „მილანიდან" კი სხვა სიახლეცაა. „ბარსელონამ" სურვილი გამოთქვა, მათი ნახევარმცველი ფრანჩესკო კოკო შეიძინოს.**

## ინგლისი

**I დივიზიონი. XXXIII ტური**

**შეფილდ იუნ. 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 დეჯაგო (21)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი (ნდა 46), რობინსონი (კამარა 46), პოლეტი, ბატლერი, დინინგი, ენდრიუსი, ბრეშჩი, სინტონი, პრუდლოკი

მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი

20 282 მაყურებელი

**ბარნლი 2:1 ფულემი**

0:1 ჰეილსი (49), 1:1 მური (73), 2:1 ლიტლი (88)

ფულემი: ტეილორი, ფინანი, საიმონსი, მელვილი, ბრევე, კლარკი, კოლინზი (ფერნანდესი 67), გოლდბეკი, დევისი, ბოა მორტე (რიდლე 80), ჰეილსი

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

15 737 მაყურებელი

**ბარნსლი 1:0 კრისტალ პალასი**

1:0 შიპერლი (36)

**ბოლტონი 2:2 გრიმსბი**

0:1 გროვსი (35), 1:1 ბერგსონი (61), 1:2 ენუა (64), 2:2 ჰანსენი (74)

**ჯილინგემი 0:1 ქუინზ პარკი**

0:1 კოვომია (83)

**ნორვიჩი 4:0 სტოკპორტი**

1:0 ლეველინი (16), 2:0, 3:0, 4:0 რობერტსი (35, 38, 57)

**პრესტონი 0:2 ბირმინგემი**

0:1 გრაინჯერი (11), 0:2 ჯონსონი (71)

**უოტფორდი 0:1 ბლექბერნი**

0:1 ბენტი (72)

**ვესტ ბრომვიჩი 2:2 ქრიუ**

1:0 ტეილორი (24), 1:1 ეშტონი (30), 2:1 რობერტსი (69), 2:2 ჰალსი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 33 | 23 | 6 | 4 | 70:24 | 75 |
| ბოლტონი | 33 | 19 | 9 | 5 | 56:29 | 66 |
| ბლექბერნი | 31 | 17 | 8 | 6 | 47:30 | 59 |
| ბირმინგემი | 31 | 18 | 5 | 8 | 45:32 | 59 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 16 | 8 | 9 | 45:39 | 56 |
| უოტფორდი | 32 | 16 | 5 | 11 | 54:45 | 53 |
| ნოტინგემი | 31 | 15 | 5 | 11 | 40:35 | 50 |
| შეფილდ იუნ. | 32 | 14 | 8 | 10 | 36:31 | 50 |
| პრესტონი | 32 | 15 | 5 | 12 | 42:41 | 50 |
| ბარნლი | 31 | 13 | 6 | 12 | 33:38 | 45 |
| უიმბლდონი | 29 | 11 | 8 | 10 | 46:34 | 41 |
| ნორვიჩი | 33 | 10 | 10 | 13 | 33:39 | 40 |
| ჯილინგემი | 32 | 9 | 12 | 11 | 42:43 | 39 |
| ვულვზი | 31 | 9 | 10 | 12 | 32:34 | 37 |
| კრ. პალასი | 32 | 9 | 10 | 13 | 46:49 | 37 |
| პორტსმუთი | 32 | 7 | 14 | 11 | 33:39 | 35 |
| ბარნსლი | 33 | 9 | 8 | 16 | 31:43 | 35 |
| გრიმსბი | 31 | 9 | 7 | 15 | 30:43 | 34 |
| ქრიუ | 31 | 9 | 6 | 16 | 31:42 | 33 |
| ქუინზ პარკი | 32 | 6 | 14 | 12 | 33:48 | 32 |
| სტოკპორტი | 33 | 6 | 13 | 14 | 40:55 | 31 |
| უენსდი | 32 | 8 | 5 | 19 | 34:58 | 29 |
| ჰადერსფილდი | 30 | 6 | 10 | 14 | 32:40 | 28 |
| ტრანმერი | 30 | 7 | 6 | 17 | 29:49 | 27 |

## ასოციაციის თასი

**მეოთხედფინალის წილისყრა**

ტრანმერი (I) — ლივერპული; ლესტერი — უიკომბი (II); ვესტ ჰემი — ტოტენჰემი; არსენალი — ბლექბერნი (I) ან ბოლტონი (I)

მატჩები გაიმართება 10-11 მარტს



არსენ ვენგერმა თუ ინება, ხუან გასპარი ხელგაშლილი შეეგებება

# არსენ–გასპარიანი

## წადი, წადი, დირექტორი იყავი! უთხრეს ბარსელონელებმა ფერერს და ვენგერს გახედეს

**არსენ ვენგერმა** შესაძლოა „ჰაიბერი“ დატოვოს და „კამპ ნოუს“ მიაშუროს. „ბარსას“ ხელმძღვანელობამ ფრანგზე ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, რაც ფაბიო კაპელო ვერ გადაიბირა.

კატალონიელები ჩემპიონთა თასის გათამაშებას ნაადრევად გამოეთიშნენ, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „დეპორტივოსთან“ შინაც დამარცხდნენ და ამით ესპანეთის ჩემპიონობაც საკმაოზე მეტად სათუოდ გაიხადეს, მით უფრო, რომ „რეალი“ უზადოდ თამაშობს. ფეხბურთელებშიც აღარ შეიმჩნევა ერთიანობა და ძველებური ჟინი. ცხადია, რაღაც უნდა შეიცვალოს და გასპარმაც უპირველეს სამიზნედ მწვრთნელი ლორენს სერა ფერერი აირჩია.

ფერერმა ვერ გაამართლა, გუნდი მისი ხელმძღვანელობით ჩვეულ, ნაოცნებარ და შეიძლება ითქვას, დამსახურებულ სიმაღლეებს ვერ შესწვდა. ჰოდა, დამთავრდა სერა ფერერის დრო. ხუან გასპარსაც „არსენალის“ მწვრთნელისთვის დაუდგამს მუშტრის თვალი. ვენგერი 51 წლისაა. თავის დროზე იაპონიაშიც საქმიანობდა. მისმა გამჭრიახობამ და საფეხბურთო განსწავლულობამ 1998 წლის სეზონში „არსენალს“ ინგლისის თასი და ჩემპიონობა მოაპოვებინა. ვენგერი ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი კაცია ქვეყნის საფეხბურთო ოჯახში, ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატადაც კი ითვლებოდა. „ბარსას“ რიგებში ყოფილი „მეთოფეები“ — ემანუელ პეტი და მარკ ოვერმარსი ბურთაობენ. ვენგერის აზრით, კატალონიელებს მათ გარდა მრავალი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ.

ხუან გასპარის არჩევანი, როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბის ფეხბურთელებმაც მოიწონეს. არსენის იმედი თითქმის ყველას აქვს, ხოლო თუ ფერერისა და ვენგერის მომხრეთა გუნდს გადავავლებთ თვალს, „ბარსას“ ამჟამინდელი მწვრთნელი სრულ უმცირესობაში აღმოჩნდება. საერთო განწყობას კატალონიური კლუბის ყოფილი მწვრთნელი ბობი რობსონიც უერთდება და „ბარსასა“ და ვენგერის თანამშრომლობას დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებს.

ფრანგი ემანუელ პეტი კი გასპარის არჩევანით, უბრალოდ აღფრთოვანებულია. „უზომოდ გავიხარებ ვენგერი თუ მოვა. იგი ჩემთვის მეგობარი უფროა, ვიდრე მასწავლებელი. არსენი ბრწყინვალე ადამიანი და ფსიქოლოგია, ფეხბურთელებსაც ძალიან ეხმარება, ცდილობს პრობლემები მოუგვაროს. ერთი სიტყვით, იდეალური კანდიდატია“. ამავეს ფიქრობს კატალონიელთა ჰოლანდიელი მცველი მიხაელ რაიციგერიც.

ფერერი წავა, ეს თითქმის გადაწყვეტილია. ხუან გასპარს მისთვის გუნდის ტექნიკური დირექტორის თბილი ადგილი შეუმზადებია. მოვა კი არსენ ვენგერი? ისურვებს სამხრეთულ ემოციურ, ზეამბიციურ სამყაროში ტრიალს? ვინ იცის... მოდით, ამაზე „ბარსელონას“ გულშემატკივრებმა და ხუან გასპარმა იმტვრიონ თავი.

**გიორგი მამარდაშვილი**

# პრემიერის რისკი

## პირველად იყო სიტყვა, რომელთანაც პოლიციაც უძლურია

**სერბთა** პრემიერ-მინისტრმა ზორან ჯინჯიჩმა სამშაბათს პრესკონფერენცია მოაწყო. პრემიერ-მინისტრის საუბრის თემა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხები რომ ყოფილიყო, სპორტული გაზეთის ფურცლებზე ეს ამბავი, ცხადია, ვერ მოხვდებოდა.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს სიამაყით განუცხადა, ჩემი მცდელობით, როგორც იქნა, გაირკვა „ცრვენა ზვეზდასა“ და „პარტიზანის“ შეხვედრის გადათამაშების თარიღი, 7 მარტიო.

ფეხბურთელობა პროფესიაა და სანამ სხვა პროფესიის მილიონობით უმუშევარი იუგოსლაველი თავისი პრემიერ-მინისტრისგან სამუშაოს ითხოვს, ეს უკანასკნელი ფეხბურთელებს იქით ეხვეწება, მოედანზე გადით, იმუშავეთო. ცოტა არ იყოს, უცნაურია.

ზოგადად კი უცნაურია, მაგრამ რაკი „ცრვენა ზვეზდა“ — „პარტიზანზეა“ ლაპარაკი, უფრო გასაკვირი ისაა, როგორ დაიყოლია პრემიერ-მინისტრმა მარადიული მტრები შეხვედრაზე.

ეს ამბავი შარშან ოქტომბერში დაიწყო, თუმცა წითელვარსკვლავოსანთა და პარტიზანთა ზღვარგადასული დაპირისპირება შორეულ წარსულში იღებს სათავეს. განა მუდამ დრამატული არაა „რეალი“ — „ბარსელონა“ ან „რეინჯერსი“ — „სელტიკი“? მაგრამ ბელგრადული დერბი მაინც სულ სხვაა. სტაჟიანი გულშემატკივრებიც ვერ გაიხსენებენ, როდის ჩატარდა ამათი შეხვედრა ცემა-ტყეპის გარეშე.

შარშან ოქტომბერში თამაში მესამე წუთზე შეწყდა. მაშინ ამაზე დაწვრილებით გიამბეთ და ახლა მოკლედ გავიხსენოთ.

მატჩის არბიტრი აშკარად შეცდა, როცა გუნდებს მოედანზე გაუძღვა — ტრიბუნებზე ჩხუბი კარგა ხნის დაწყებული გახლდათ. მიზეზი, ძველისძველი საფეხბურთო სიძულვილის გარდა, პოლიტიკური დაპირისპირებაც გახდა — ერთნი სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმს ემხრობოდნენ, ხოლო მეორენი დემოკრატიის იდეალებს ეტრფოდნენ.

მატჩის დაწყებამ ვნებათაღელვა და დანების თუ მუშტების ტრიალმა კიდევ უფრო გაამძაფრა და საომარმა მოქმედებებმა მინდორზე გადაინაცვლა. მსაჯს თამაში ჩასტვენით არ შეუწყვეტია, უბრალოდ, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა გასახდელისკენ და ფეხბურთელებმაც მას მიბაძეს.

თავში რომ აღვნიშნეთ, პრემიერ-მინისტრმა გადათამაშების თარიღი შეათანხმაო, მთლად ზუსტი ნათქვამი არაა. საქმე ის გახლავთ, რომ თავად გადათამაშების საკითხი იდგა ეჭვქვეშ. „პარტიზანი“ ხელახლა მოედანზე გასვლაზე უარს ამბობდა, აქაოდა, რაკი ის ამბავი „ცრვენას“ სტადიონზე მოხდა, მასპინძელ გუნდს ტექნიკური მარცხი უნდა ჩაეთვალოსო. „ცრვენა ზვეზდას“ თავისი არგუმენტი ჰქონდა, „პარტიზანის“ ფანებმა ჩვენები ჩხუბში გამოიწვიეს და რა ნამუსით ითხოვენ სამ ქულასო. ერთი სიტყვით, იასერ არაფატს უფრო იოლად შეათანხმებ ებრაელებთან, ვიდრე ამათ.

მოლაპარაკებებმა, რომლებმაც რამდენიმე თვეს გასტანა და იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია უძლურებოდა, შედეგი თითქოს გამოიღო, გადათამაშება წინა შაბათს უნდა გამართულიყო. როგორც უკვე მიხვდით, არ გაიმართა. შეხვედრის დაწყებამდე ორი საათით ადრე პოლიციასთან (თუ არ ვცდებით, იუგოსლავიაში ჯერაც მილიცია ჰქვია) კონსულტაციის შემდეგ ჩაიშალა, რადგან ისინი უსაფრთხოების გარანტიებს ვერ იძლეოდნენ. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ თამაში არც არასდროს ჩატარდებოდა. სწორედ ამ დროს ითავა ამ პრობლემის მოგვარება პრემიერ-მინისტრმა. „მე ისინი კომპრომისზე დავიყოლიე — თქვა მან პრესკონფერენციაზე — ეს მთლიანად იუგოსლავიური ფეხბურთის კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი, ჩვენი ჩემპიონატი ბელგრადული დერბის გარეშე წარმოუდგენელია“.

რაღა დარჩა 7 მარტამდე? რაღაც ორი კვირა, ჰოდა, სერბი პრემიერ-მინისტრის სიტყვის ფასსაც მაშინ გავიგებთ.

**გიორგი დარჯანია**

# შმაიხელმა ნაკრების კარი გაიხურა



პეტერ შმაიხელმა დანიას ხელი დაუქნია

**ყველას** კარგად გვახსოვს ევროპის 1992 წლის ჩემპიონატი და დანიის ნაკრები. სკანდინაველთა გასვლა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შემთხვევითი, ხოლო მათი საუცხოო თამაში და ჩემპიონატის მოგება მოულოდნელი და სენსაციური გახლდათ.

თითქოს არაფრით გამორჩეულმა დანიელებმა მართლაც დიდებული ფეხბურთი აჩვენეს, ნახევარფინალში გულიტის, რაიკაარდის, ბერხკამპის, ვან ბასტენის ჰოლანდიას სძლიეს, ფინალში კი მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიას არანაირი შანსი არ დაუტოვეს. დანიელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი ბრაიან ლაუდრუპსა და ჰენრიკ ლარსენთან ერთად ნაკრების კარის დარაჯი პეტერ შმაიხელიც იყო. მან გუნდის გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო. ეს იყო შმაიხელის საფეხბურთო კარიერის მწვერვალი. დიდმა პეტერმა თოთხმეტი წელი ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და ამ ხნის განმავლობაში 128-ჯერ მოუხდა კარის დაცვა.

სანაკრებო კარიერის დარად, იღბლიანი და ტიტულებით მდიდარია შმაიხელის საკლუბო მოღვაწეობაც. განსაკუთრებული ისევ და ისევ უცნაური და კურიოზული 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალია. „მანჩესტერ იუნაიტედს“ „კამპ ნიუზე“ ფინალურ თამაში მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ პეტერ შმაიხელმა უკაპიტნა. მანჩესტერელებმა მატჩის ბოლოს სასწაული მოახდინეს და დანიელმაც პირველმა აიტაცა ჩემპიონთა ლიგის თასი.

პეტერ შმაიხელი განვლილ გზას სიამოვნებით იხსენებს. საამაყოც ბევრი აქვს. იგი ახლა 37 წლისაა და პორტუგალიის ჩემპიონ „სპორტინგის“ ღირსებას იცავს. გუნდთან კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევარს გასტანს. არავინ იცის, სად აპირებს კარიერის დასრულებას შმაიხელი. თუმცა, ეტყობა, დიდ ფეხბურთს მალე გამოეთხოვება — ამას წინათ შმაიხელმა ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. ალბათ მართალიცაა, ასაკს თავისი მიაქვს. ორმოცს მიტანებულმა კარის დარაჯმა თავისი საქმისა უკეთ იცის.

**გიორგი მამარდაშვილი**



„ცრვენა ზვეზდა“ — „პარტიზანი“. ოქტომბრის ჩხუბი. მარტის მშვიდობა?

# მათეუსი შიშით გასკდა

**განაწყენებული** და გაწბილებულია ფეხბურთის, მათეუსისა და „ფორმულა 1“-ის მრავალი მოყვარული. ისინი და მათთან ერთად მრავალი ცნობისმოყვარე მიუნხენის ლუდვიგშტრასზე უჩვეულო რბოლის მოლოდინში იყვნენ. დიდი ლოთარიც გამოჩნდა. ორადგილიან „მაკლარენის“ ბოლიდის საჭეს სერიოზული გამომეტყველებით მიუჯდა, მაგრამ მაყურებელთა გასაკვირად უმალ ნირშეცვლილი წამოხტა. ლოთარმა უარი განაცხადა ბოლიდით გასეირნებაზე. ფორმაში არ ვარ, ერთობ მოვსუქდი, ხოლო ბოლიდი საკმაოდ ვიწრო და უხერხულიაო, მოიმიზეზა. მავანმა და თანაც მრავალმა ლოთარ მბრბოლელის სახეზე უცნაური სიფითრეც კი შენიშნა. წლები, ახალი გარემო... უცნაურია, ეტყობა, თავისას აკეთებს. სანახაობა და „მაკლარენის“ სარეკლამო ჩანაფიქრიც დიდი ფეხბურთელის უცნაურმა განწყობამ ჩაშალა.

# სამი ახალი, ორი ძველი


REUTERS ფოტოარქივიდან

რუდი ფიოლერი

**მომავალ** სამშაბათს, 27 თებერვალს, გერმანიის ნაკრები „სენ დენიზე“ საფრანგეთის ეროვნულ გუნდს სტუმრობს. მატჩამდე ხუთი დღით ადრე გერმანელთა მთავარ მწვრთნელ რუდი ფიოლერს პრობლემები შეექმნა. გადაწყვეტილია, რომ პარიზში გუნდთან ერთად არ იქნებიან „შალკეს“ მეკარე იენს ლემანი, „ლევერკუზენის“ მცველი იენს ნოვოტნი, ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველები — შტეფან ბაინლიხი და სებასტიან დაისლერი, ასევე მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი ალექსანდრ ციკლერი. ხუთივეს ტრავმა აწუხებს.

„ფრანგებთან მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. ჯერ ერთი, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონებს ვეთამაშებით და მეორე, ასეთ სერიოზულ მეტოქესთან გენერალური რეპეტიციის ჩატარება მინდოდა, რამდენიმე კვირაში ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გველის. ამდენი ფეხბურთელის ტრავმამ გეგმები ჩამიშალა. მათი შემცვლელების მოძებნა, არც ისე იოლი საქმეა“ — აღნიშნა ფიოლერმა.

„ლევერკუზენის“ ყოფილ სპორტულ დირექტორს ნაკრებში სამი დებიუტანტის მიწვევა უკვე გადაუწყვეტია. იენს ლემანს ბრემენის „ვერდერის“ მეკარე ფრანკ როსტი შეცვლის. მის გარდა ეროვნულ გუნდში თამაშის შესაძლებლობა ასევე პირველად მიეცემათ როსტის თანაგუნდელ ტორსტენ ფრინგსს და 22 წლის კაიზერსლაუტერნელ მიროსლავ კლოსეს, რომელიც „კიოლნის“ თავდამხსმელ კრისტიან ტიმთან ერთად წლევანდელი სეზონის აღმოჩენად ითვლება.

ფიოლერისთვის ასევე ახლები არიან „დორტმუნდის“ მცველი კრისტიან ვიორნსი და „ბაიერნის“ ნახევარმცველი იენს იერემისი. ვიორნსი თითქმის ერთწლიანი განშორების შემდეგ უბრუნდება ნაკრებს, იგი ქვეყნის უპირველეს გუნდში ბოლოს 2000 წლის აპრილში გამოიძახეს.

რაც რუდი ფიოლერს ეროვნული გუნდი აბარია, „ბაიერნის“ ახალგამომცხვარი „ლიბეროც“ არ მიუწვევია. ბოლოს იერემისმა ნაკრების მაისურა რვა თვის წინ ევროპის ჩემპიონატზე მოირგო.

არ გამართლდა მათი ვარაუდი, ვინც ფიქრობდა, რომ „მეფე რუდი“ „მილანის“ სათადარიგოთა სკამზე მყარად დამკვიდრებულ ოლივერ ბირჰოფს არ გამოიძახებდა. ბირჰოფი გუნდში კია მიწვეული, მაგრამ ადგილზე გამოცხადება დაუგვიანდება. კვირას საღამოს „მილანი“ ტურინის „იუვენტუსს“ ხვდება და ძაკერონიმაც ბირჰოფს გაშვებაზე უარი უთხრა, მე მჭირდებიო.

გერმანიის ნაკრებში საფრანგეთთან სათამაშოდ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია ასეთია:

*მეკარეები: ოლივერ კანი, ფრანკ როსტი*

*მცველები: ფრანკ ბაუმანი, ტორსტენ ფრინგსი, იორგ ჰაინრიხი, თომას ლინკე, მარკო რემერი, კრისტიან ვიორნსი, კრისტიან ციგე*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი, მარკო ბოდე, დიტმარ ჰამანი, იენს იერემისი, კარსტენ რამელო, მეჰმეთ შოლი, დარიუს ვოში*

*თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი, კარსტენ იანკერი, მიროსლავ კლოსე, ოლივერ ნოივილი*

# ტურამი უკვე წლებს ითვლის

## მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს სკუდეტო ენატრება


სარბიელის არქივიდან

პარმელი ლილიან ტურამი (№21) და ლაციოელი მარსელო სალასი

**მსოფლიოსა** და ევროპის ჩემპიონი, ფრანგი მცველი ლილიან ტურამი არ გამორიცხავს, რომ სეზონის ბოლოს „პარმა“ დატოვოს და ისეთ კლუბში გადავიდეს, რომელსაც რაიმე სერიოზული ჯილდოს მოგებაზე აქვს პრეტენზია. ასეთი გუნდი, თანაც ფრანგის მსურველი, მარტო იტალიაში ორია: სერია A-ს ამჟამინდელი ლიდერი „რომა“ და „მილანი“, რომლებიც ტურამის სანაცვლოდ სოლიდურ თანხასაც იხდიან. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ფრანგს ევროპის სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან.

„მართლაც სერიოზულად უნდა დავფიქრდე — განუცხადა ტურამმა პოპულარულ გამოცემა „ლე პარიზიენს“ — დიდი სურვილი მაქვს, „პარმასთან“ ერთად იტალიის ჩემპიონი გავხდე, მაგრამ 29 წლის ვარ, ამიტომ შევძლებ კი სკუდეტოს მოგებას? სხვა გუნდში გადასვლას არ გამოვრიცხავ, თანაც თანამედროვე ფეხბურთში მოულოდნელი და შეუძლებელი არაფერია. ამ სეზონში კი იტალიურ „პარმაში“ ვრჩები. მანამდე არაცთუ ცოტა დროა დარჩენილი, რაიმეს მოვიფიქრებ“.

„მონაკოს“ ყოფილ მოთამაშეს იტალიურ კლუბთან კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს. უნდა ითქვას, რომ დიდი დრო არ გასულა, რაც მან შეთანხმება გაახანგრძლივა. თუმც მას შემდეგ „პარმაში“ სიტუაცია რამდენჯერმე შეიცვალა. როცა ტურამმა კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, იმჟამად გუნდს ალბერტო მალეზანი წვრთნიდა, მაგრამ მოგვიანებით იგი მოხსნეს, მის ნაცვლად კი გამოცდილი არიგო საკი დანიშნეს. მაშინ მოთამაშეთა უმრავლესობამ აღიარა, რომ საკის დანიშვნის შემდეგ ჩემპიონობაზეც რეალურად შეიძლებოდა ფიქრი. თუმცა არიგოც მალე გადადგა და ახლა გუნდს რენცო ულივიერი ხელმძღვანელობს. „პარმა“ კი მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონობის იმედიც წლეულს, ალბათ, აღარ აქვს, რადგან ლიდერ „რომას“ 16 ქულით ჩამორჩება.

**გიორგი გამარდაშვილი**

# კრიმინალური კოქტეილი: დაარტყი ყოველივე მრგვალს, თუნდაც პაკისტანელის თავს




სარბიელის არქივიდან

## მოწმე, თვალი და ყური ვუდგეიტისა და ბოიერის წინააღმდეგ

**ჰალის** სასამართლოდან ატირებული გამოვარდა 19 წლის პაკისტანელის, სარფრაზ ნაიჯების მამა — სარფრაზი ის ბიჭია, რომელსაც შარშან სასტიკად სცემეს ჯონათან ვუდგეიტმა და ლი ბოიერმა. მამის ცრემლებში კი საოცარი არაფერია — სასამართლოში ისეთი რამეები მოისმინა.

სამშაბათს მოსამართლემ ორი მოწმე დაჰკითხა, შემთხვევის ადგილთან ახლომდებარე ბარების თანამშრომლები, რომლებიც სამუშაოს მერე, გამთენიისას შინ მიიჩქაროდნენ.

„ეს საშინელება იყო — ამბობს მოწმე ქალი — საწყალი ბიჭი მუხლებზე ჰყავდათ დაჩოქებული და თავში წიხლებს ურტყამდნენ. თავი აქეთ-იქით უვარდებოდა, თითქოს სადაცაა მოწყდებაო. არც მეგონა, ცოცხალი თუ იყო. რა მოხდა, არ ვიცი, ჩხუბის დაწყების მიზეზებზე ვერაფერს მოგახსენებთ. ის კი დავინახე, რომ დაზარალებული თავიდან მარტო არ იყო. რამდენიმე ბიჭი ახლდა, რომლებიც მერე გაიქცნენ, ამან კი ვერ მოასწრო. ხულიგნები ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, თან უგონოდ მთვრალები საშინლად იგინებოდნენ“.

მეორე მოწმის ჩვენება წინას ემთხვევა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მას დამნაშავეები უცვნია.

„ჯონათან ვუდგეიტი ხტებოდა და ორივე ფეხს ურტყამდა წაქცეულს“ — მოწმემ ხელი „ლიდსის“ ნახევარმცველისკენ გაიშვირა.

ლი ბოიერთან დაკავშირებით მოწმე, ცოტა არ იყოს, დაიბნა. ჯერ თქვა, ბოიერიც ურტყამდაო, მაგრამ ჯვარედინი დაკითხვისას ფეხბურთელის მოხერხებულმა ადვოკატმა კითხვები ისეთი ფორმით დაუსვა, მოწმეს აღიარებინა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად ბოიერი იყოო.

თავისი საქმის არანაკლები ოსტატი აღმოჩნდა ბრალმდებელი. ერთი-ორი საჭირო კითხვის შემდეგ მოწმემ ჩვენება რამდენადმე შეცვალა, ნაღდად ბოიერი იყო, მაგრამ ურტყამდა თუ არა, ზუსტად ვერ ვიტყვიო.

ლი ბოიერი, ჯონათან ვუდგეიტი და მათი მეგობრები ბრალდებებს კვლავაც უარყოფენ, გამოძიება კი გრძელდება.

**გიორგი დარჯანია**

Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

III ჯგუფი. II ტური

**კონსეპსიონი (ჩილე) 0:0 ნასიონალი (ურუგვაი)**

კონსეპსიონი: მონტოია, სორა, ბასრი, ბაუტისტა, დონოსო, კანსინო, გარიდო, კისტერნასი (საპატა 62), ალმენდრა (პერესი 80), იბანიესი (ვერდუგო 82), მონტესინოსი

ნასიონალი: რომაი, დელ კამპო, ლემბო, ხორხეანო, ადალტო, კამეიო, პელეხერო, მორალესი, და სილვა, ისლასი (სოსა 72), მარტინესი (ვებო 72)

22 000 მაყურებელი

VII ჯგუფი. II ტური

**კრუს ასული (მექსიკა) 2:0 დეფენსორი (ურუგვაი)**

1:0 პალენსია (29პ), 2:0 ბელოსო (90)

კრუს ასული: ო. პერესი, ბრაუნი, რეინოსო, მაკიასი, კამპოსი, მორალესი (სანდონა 82), გალდამესი, ბელოსო, პინეირო (ა. ერნანდესი 46), ადომაიტისი, პალენსია (მორენო 67)

დეფენსორ სპორტინგი: ბალეატო, ტრავერსა, პ. ერნანდესი, გონსალესი, ადილოლფი, დ. პერესი (ვარგასი 79), ფადევილი, ტეხერა, დიასი (მოსკერა 46), ლიგერა, მარკონი

18 000 მაყურებელი

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



1998 — კოკუს პენალტს ტაფარელი იგერიებს

2000 — ტოლდოს არც ბოსველტის დარტყმულის აღება გასჭირვებია

და საერთოდ — ჰოლანდიას პენალტების სერიაში არასდროს უმარჯვია

# პენალტები, პენალტები, ჭრელი, ათასფერადი (ნარიჯისფრის გარდა)

**მარადიულ** ქალაქში დიდი ამბავი იყო — „რომა" ინგლისურ „ლივერპულს" მასპინძლობდა. არა, გუშინწინდელზე არ გეუბნებით, 17 წლის წინანდელს ვიხსენებ, 1984-ის ჩემპიონთა თასის ფინალს. მოკლედ, ვზივართ ათასამდე თბილისელი გულშემატკივარი... ლენინაკანის „შირაქში" (აბა, იმ დროს „ოლიმპიკოზე" წასვლაზე ადვილი მთვარეზე გაფრენა იყო), სასტუმროს თითქმის ყველა ნომერი გვიკავია და თურქეთის ტელევიზიით მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ვუყურებთ.

მთავრდება 90 წუთი. ერთით-ერთია. „პენალტები თუ დაინიშნა, ჩავრჩით ამ სომხეთში" — ახსენდება ვიღაცას. „ჰო, თბილისის მატარებელი ნახევარ საათში გადის" — ამბობს მეორე. სასწრაფოდ მანეთ-მანეთს ვკრიფავთ და სასტუმროს მოხელეს ვაგზალში ვაგზავნით. მართლაც, დამატებით დროში არაფერი იცვლება. პენალტები, ლივერპულელი მეკარე გრობელაარი მაიმუნობს, აღელვებულ რომაელებს კი ნერვები ღალატობთ. შედეგად, „ლივერპული" იგებს და პირველი კლუბი ხდება, ვინც ევროპის ჩემპიონთა თასს მატჩისშემდგომი პენალტების უფრო ზუსტი შესრულების წყალობით ეუფლება, ამასობაში კი ლენინაკან-თბილისის მატარებლის მემანქანე სადღაც 400 მანეთით მდიდრდება და პატიოსნად გვიცდის: ყველა ხართ? აბა, დავიძარით!

...მსოფლიო ფეხბურთის მამებიც კარგა ხანს იცდიდნენ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ოფიციალურად არ განაცხადეს, გვეყო ეს უაზრო მონეტის ბზრიალი და სხვა სისულელეები, ამიერიდან ოლიმპიური სისტემის შეჯიბრებებში ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებული თერთმეტმეტრიანებით გამოვლინდებაო. მას მერე და დღეის ჩათვლით არ წყდება საუბარი ამ მეთოდის ავ-კარგიანობაზე. ლატარიაა, უაზრობააო — ბევრი ამბობს, მაგრამ უკეთესი ჯერ ვერავის მოუფიქრებია.

ჰოდა, ჩვენც გავიხსენოთ გასული საუკუნის ყველაზე უცნაური თერთმეტმეტრიანთა სერიები.

ორი წელი გავიდა იმ ცნობილი რომაული ფინალის შემდეგ და ჩემპიონთა თასის მფლობელი კვლავ პენალტების სერიით გაირკვა — ბუქარესტის „სტიაუა", მისი მეკარე ჰელმუტ დუკადამი კი ჩაუშესკუს ქვეყანაში გმირად იქცა. არადა, არც ბარსელონელთა გოლკიპერი ურუტი მდგარა უსაქმოდ და ორი დარტყმაც მოიგერია, მაგრამ დუკადამმა მთლად აიშვა და, ფაქტობრივად მასპინძლებს (მატჩი სევილიაში გაიმართა) ყველა პენალტი აუღო. საბოლოოდ, პენალტების სერიაში „სტიაუამ" 2:0 იმარჯვა, თერთმეტმეტრიანთა რეალიზაციის მაჩვენებელი კი დღემდე ევროთასებზე ყველაზე დაბალია — მხოლოდ 25 პროცენტი.

| | |
|---|---|
| მაიარუ (მეკარე) | 0:0 |
| ალესანკო (მეკარე) | 0:0 |
| ბოლონი (მეკარე) | 0:0 |
| პედრასა (მეკარე) | 0:0 |
| ლეკეტუში | 1:0 |
| პიჩი ალონსო (მეკარე) | 1:0 |
| ბალინტი | 2:0 |
| მარკოსი (მეკარე) | 2:0 |

და ჩემპიონთა თასი ბუქარესტს გაემგზავრა.

ასევე ოთხი პენალტი აქვს მოგერიებული ცნობილ კოლუმბიელ მეკარე რენე იგიტას. ეს ამბავი ლიბერტადორესის თასის 1990 წლის გათამაშების ნახევარფინალში მოხდა. იგიტას „ნასიონალმა" პარაგვაულ „ოლიმპიასთან" პირველ მატჩში 1:2 დამარცხების მერე სტუმრად 3:2 მოიგო და ვინაიდან ამ სამხრეთამერიკულ ტურნირში მეტოქის მოედანზე გატანილ ბურთს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, ეგრევე (დამატებითი დროის გარეშეც) პენალტები დაინიშნა. ვიმეორებთ, იგიტამ ოთხი დარტყმა აუღო პარაგვაელებს, მაგრამ 6-6 თერთმეტმეტრიანის მერე მისმა გუნდმა მაინც წააგო — 1:2: მასპინძელთა მეკარე ალმეიდამ ორჯერ ივაჟკაცა, სამჯერ კი კოლუმბიელებმა ბურთი კარს ააცილეს (მათ შორის თავად იგიტამაც). როგორც ნახეთ, ზუსტი დარტყმების მაჩვენებელი აქაც მხოლოდ 25 პროცენტია.

ზუსტად ასეთივე შედეგით დაამთავრეს მატჩისშემდგომი სერია ფინეთის თასის 1985 წლის ფინალისტებმა — ვალკეაკოსკის „ჰაკამ" და დედაქალაქურმა ჰიკმა. ამ უკანასკნელის ფეხბურთელებმა პირველი სამი დარტყმა კარს ააცილეს, სულ კი პირველი შვიდი პენალტიდან კარში არცერთი შევარდნილა. საბოლოოდ, „ჰაკამ" 2:1 მოიგო და თასს დაეუფლა.

ამაზე უარესიც ყოფილა — აფრიკის ჩემპიონთა თასის 1979 გათამაშებისას, როცა გვინეური „ჰაფიისა" და ბურკინა ფასოს დედაქალაქ უაგადუგუს „სილურესის" ფეხბურთელებმა ათიდან ცხრა პენალტი გააფუჭეს, მავანი უაგუდუგუელი „სნაიპერის" დარტყმა კი გადამწყვეტი გამოდგა — 1:0.

ეს რაც შეეხებოდა დიდ ფეხბურთს, თორემ ბავშვებში ერთი ისეთი შედეგია დაფიქსირებული, ალბათ ვერასდროს „გაუმჯობესდება": ჩვენ ნაცნობ ქალაქ დერბის ჩემპიონატში „მიკლოვერისა" და „ბლუ სოქსის" ათწლიანთა გუნდების მატჩი 1:1 დამთავრდა, პირველი პენალტის გატანამდე კი ბავშვებმა 65(!) უზუსტო დარტყმა მოახერხეს.

91,7 პროცენტი — ასეთი გახლდათ ჩემპიონთა თასის კიდევ ერთ ფინალში გამოყენებული პენალტების მაჩვენებელი: 1988 წელს პორტუგალიური „ბენფიკისა" და ჰოლანდიური პსვ-ს მოთამაშეებმა წრე ისე გაასრულეს, ერთი არ აუცილებიათ, მერე კი ეინდჰოვენელმა ჰანს ვან ბრეკელენმა ლისაბონელი ველოსუს დარტყმა მოიგერია და ჩემპიონთა თასმა (ისევე როგორც ოდნავ მოგვიანებით ევროპის თასმაც) ბინა დროებით ჰოლანდიაში დაიდო.

ამაზე კარგი მაჩვენებლით (93,8 პროცენტი) დაამთავრეს ნერვებისწყვეტა რუსულმა „როტორმა" და მოსკოვის „დინამომ" ქვეყნის თასის ფინალში 1995 წელს. 7-7 პენალტი გუნდებმა უნაკლოდ დაარტყეს, მერვე წრეზე კი დინამოელმა სმეტანინმა ვოლგოგრადელ კორნიეცს აჯობა და თასი მოსკოვში დატოვა. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის 117-ე წუთზე, როცა ანგარიში 0:0 იყო, პროვინციელმა ვერეტენნიკოვმა პენალტიდან ბურთი ძელს მოარტყა.

ამაზე უკეთესი გარჯაც გვახსოვს — საუბარია 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩზე, როცა მესამე ადგილისთვის მასპინძელი იტალია ძირითადის 1:1-ის მერე (0:1 იურკემიკი, 1:1 გრაციანი) ჩეხოსლოვაკიასთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

| | |
|---|---|
| კაუზიო | 1:0 |
| მასნი | 1:1 |
| ალტობელი | 2:1 |
| ნეჰოდა | 2:2 |
| ბარეზი | 3:2 |
| ონდრუში | 3:3 |
| კაბრინი | 4:3 |
| იურკემიკი | 4:4 |
| ბენეტი | 5:4 |
| პანენკა | 5:5 |
| გრაციანი | 6:5 |
| გოეში | 6:6 |
| შირეა | 7:6 |
| გაიდუშეკი | 7:7 |
| ტარდელი | 8:7 |
| კოზაკი | 8:8 |
| კოლოვატი (ააცილა) | 8:8 |
| ბარმოში | 8:9 |

ანუ პირველი ზუსტი 16 პენალტი და საერთო ჯამში 94,4 პროცენტი.

ვითომ არსებობს ამაზე უფრო კარგი შედეგი? ძიებამ გვიჩვენა, რომ არსებობს და ამისთვის 1996 წლის 28 ნოემბერი, თურქეთის თასის მერვედფინალური მატჩი უნდა გავიხსენოთ. მაშინ ძირითადი და დამატებითი დრო ანკარაში, იქაურ „გენჩლერბირლიგსა" და სტამბოლის „გალათასარაის" შორის 1:1 დამთავრდა და დაიწყო... პენალტების სერიის გახსნა სტუმრებს ერგოთ:

| | |
|---|---|
| ჰაქან შუქური | 1:0 |
| ლუსასუ | 1:1 |
| ჰაჯი | 2:1 |
| უმითი | 2:2 |
| თუგაი | 3:2 |
| ულქერი | 3:3 |
| უმითი | 4:3 |
| სერდარი | 4:4 |
| ოქანი | 5:4 |
| ნიჰათი | 5:5 |
| ილიასი | 6:5 |
| ოსმანი | 6:6 |
| ბექირი | 7:6 |
| ლიბერტი | 7:7 |
| ფილიპესკუ | 8:7 |
| ალი ერენი | 8:8 |
| ბულენთი | 9:8 |
| პირი | 9:9 |
| ვედათი | 10:9 |
| თანერი | 10:10 |
| ჰაირეთინი | 11:10 |
| კუბილაი | 11:11 |

როგორც ხედავთ, ამ დროისთვის მოედანზე მყოფმა 22-ივე ფეხბურთელმა (თავის მეკარეებიანად) დაარტყა, მაგრამ მეოთხედფინალისტი მაინც ვერ გამოვლინდა და წავიდა მეორე წრე:

| | |
|---|---|
| ჰაქან შუქური | 12:11 |
| ლუსასუ | 12:12 |
| ჰაჯი | 13:12 |
| უმითი | 13:13 |
| თუგაი | 14:13 |
| ულქერი | 14:14 |
| უმითი | 15:14 |
| სერდარი | 15:15 |
| ოქანი | 16:15 |
| ნიჰათი | 16:16 |
| ილიასი (ააცილა!) | 16:16 |
| ოსმანი | 16:17 |

მორჩა, გვეშველა — მეოთხედფინალში „გენჩლერბირლიგი" გავიდა! ზუსტი პენალტების წილი კი ჯამში დარტყმული 34-დან 97,1 პროცენტია.

ამ მაჩვენებლით ვერა, მაგრამ თერთმეტმეტრიანთა საერთო რაოდენობით ამ თამაშს ერთმა არგენტინულმა მატჩმა აჯობა. 1988-89 სეზონის ერთ ჩვეულებრივ შეხვედრაში „არგენტინოს ხუნიორსსა" და „რასინგს" შორის ძირითადი დრო 2:2 დამთავრდა. იმ წელს იქაურმა ფედერაციამ ფრეს შემთხვევაში დამატებითი ქულის მოსაპოვებლად პენალტების დარტყმა ბრძანა და სწორედ ამიტომ ამ გუნდებმა კიდევ... საათნახევრამდე დაჰყვეს მოედანზე: ჯამში 44 პენალტი შეასრულეს და „არგენტინოს ხუნიორსმა" 20:19 მოიგო.

ზემოთ ევროპის ჩემპიონთა თასის რამდენიმე ფინალი გავიხსენეთ, სადაც გამარჯვებული თერთმეტი მეტრიდან კარში ზუსტად დარტყმების რაოდენობამ გამოავლინა. ეგ რაა, ბრაზილია ხომ მეოთხედ სწორედ ასე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ამგვარი რამ აღარავის უკვირს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ტურნირის მოგებული, ნახევარფინალიდან მოყოლებული, სწორედ ამ მეთოდით გარკვეულა. მაგალითისთვის გერმანიის თასის 1991-92 გათამაშება გავიხსენოთ: ნახევარფინალში „ჰანოვერმა" ბრემენის „ვერდერი" დაამარცხა პენალტებით (6:5), მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" კი ლევერკუზენის „ბაიერი" (2:0 ასევე პენალტებით). ვერც ფინალში ბრძოლამ გამოიღო შედეგი, საბოლოოდ კი „ჰანოვერმა" თერთმეტმეტრიანები კვლავ უკეთ შეასრულა (4:3) და თასი მოიპოვა. ამგვარადვე გაირკვნენ ჩეხოსლოვაკიის თასის (1987), კოპა ლიბერტადორესისა (1994) და პარაგვაის აპერტურას (1996) გამარჯვებულები.

ბოლოს კი მსოფლიო ფეხბურთის სამი უმთავრესი ტურნირის ყველა ის შემთხვევა გავიხსენოთ, როცა ამა თუ იმ ეტაპზე გუნდები მხოლოდ პენალტების უფრო ზუსტად შესრულების წყალობით გავიდნენ ან საერთოდ მოიგეს ის გათამაშება.

სწორედ ქვემოთმოყვანილ ცხრილებში აღმოაჩენთ, რომ შარშან ფრანჩესკო ტოლდოს გმირობამ ევრო 2000-ის ნახევარფინალში იტალიის ნაკრებს ისტორიაში პირველად მოაგებინა პენალტების სერია, იმ მატჩში მათ მეტოქე ჰოლანდიას კი ასეთი წარმატება ჯერჯერობით არც ღირსებია.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | | | | |
| 1982 | 1/2 | გერმანია — საფრანგეთი | 3:3 | პ 5:4 |
| 1986 | 1/4 | გფრ — მექსიკა | 0:0 | პ 4:1 |
| 1986 | 1/4 | საფრანგეთი — ბრაზილია | 1:1 | პ 4:3 |
| 1986 | 1/4 | ბელგია — ესპანეთი | 1:1 | პ 5:4 |
| 1990 | 1/8 | ირლანდია — რუმინეთი | 0:0 | პ 5:4 |
| 1990 | 1/4 | არგენტინა — იუგოსლავია | 0:0 | პ 3:2 |
| 1990 | 1/2 | არგენტინა — იტალია | 1:1 | პ 4:3 |
| 1990 | 1/2 | გფრ — ინგლისი | 1:1 | პ 4:3 |
| 1994 | 1/8 | ბულგარეთი — მექსიკა | 1:1 | პ 3:6 |
| 1994 | 1/4 | შვედეთი — რუმინეთი | 2:2 | პ 5:4 |
| 1994 | ფ | ბრაზილია — იტალია | 0:0 | პ 3:2 |
| 1998 | 1/8 | არგენტინა — ინგლისი | 2:2 | პ 4:3 |
| 1998 | 1/4 | საფრანგეთი — იტალია | 0:0 | პ 4:3 |
| 1998 | 1/2 | ბრაზილია — ჰოლანდია | 1:1 | პ 4:2 |
| **ევროპის ჩემპიონატი** | | | | |
| 1976 | ფ | ჩეხოსლოვაკია — გფრ | 2:2 | პ 5:3 |
| 1980 | III ად. | ჩეხოსლოვაკია — იტალია | 1:1 | პ 9:8 |
| 1984 | 1/2 | ესპანეთი — დანია | 1:1 | პ 5:4 |
| 1992 | 1/2 | დანია — ჰოლანდია | 2:2 | პ 5:4 |
| 1996 | 1/4 | ინგლისი — ესპანეთი | 0:0 | პ 4:2 |
| 1996 | 1/4 | საფრანგეთი — ჰოლანდია | 0:0 | პ 5:4 |
| 1996 | 1/2 | ჩეხეთი — საფრანგეთი | 0:0 | პ 6:5 |
| 1996 | 1/2 | გერმანია — ინგლისი | 1:1 | პ 6:5 |
| 2000 | 1/2 | იტალია — ჰოლანდია | 0:0 | პ 3:1 |
| **კოპა ამერიკა** | | | | |
| 1993 | 1/4 | კოლუმბია — ურუგვაი | 1:1 | პ 5:3 |
| 1993 | 1/4 | არგენტინა — ბრაზილია | 1:1 | პ 6:5 |
| 1993 | 1/2 | არგენტინა — კოლუმბია | 0:0 | პ 6:5 |
| 1995 | 1/4 | კოლუმბია — პარაგვაი | 1:1 | პ 5:4 |
| 1995 | 1/4 | ბრაზილია — არგენტინა | 2:2 | პ 4:2 |
| 1995 | 1/4 | აშშ — მექსიკა | 0:0 | პ 4:1 |
| 1995 | ფ | ურუგვაი — ბრაზილია | 0:0 | პ 5:3 |
| 1997 | 1/4 | მექსიკა — ეკვადორი | 1:1 | პ 4:3 |
| 1999 | 1/4 | მექსიკა — პერუ | 3:3 | პ 4:2 |
| 1999 | 1/4 | ურუგვაი — პარაგვაი | 1:1 | პ 5:3 |
| 1999 | 1/2 | ურუგვაი — ჩილე | 1:1 | პ 5:3 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დათვების ბუნაგი თავშესაფრად

20 თებერვალი

**ტორონტო 113:102 გოლდენ სტეიტი**

ტორონტო: კარტერი (33 ქულა, 13 მოხსნა), ვილიამსი (15)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (31), ბლეილოკი (16), სურა (11 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა)

**ვაშინგტონი 104:116 ვანკუვერი**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (27), ვიტნი (24)
ვანკუვერი: დიკერსონი (23), აბდურ-რაჰიმი (19), აბდულ-რაუფი (19)

**ორლანდო 104:110 ფინიქსი**

ორლანდო: მაკგრეიდი (44)
ფინიქსი: მარიონი (28 ქულა, 11 მოხსნა), დელკი (22), როჯერსი (20), კიდი (15 ქულა, 15 პასი)

**ნიუ იორკი 76:74 მაიამი**

ნიუ იორკი: ჯონსონი (17)
მაიამი: მეისონი (17)

**ჩიკაგო 92:101 მილუოკი**

ჩიკაგო: ბრენდი (22 ქულა, 21 მოხსნა), მილერი (20)
მილუოკი: ალენი (34 ქულა, 11 მოხსნა), კასელი (20)

**დალასი 109:119 ლეიკერსი**

დალასი: ნეში (31), ნოვიცკი (25), ფინლი (22)
ლეიკერსი: ონილი (29 ქულა, 11 მოხსნა), ფოქსი (22 ქულა, 11 მოხსნა), რაიდერი (20), ბრაიანტი (19)

**ჰიუსტონი 101:84 ბოსტონი**

ჰიუსტონი: ტეილორი (23), ფრენსისი (19 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), მობლი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ბოსტონი: პირსი (31), უოლკერი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 104:94 დენვერი**

პორტლენდი: ვოლესი (42)
დენვერი: მაკდაიესი (30 ქულა, 13 მოხსნა)

**საკრამენტო 94:80 ატლანტა**

საკრამენტო: ვილიამსი (22), სტოიაკოვიჩი (19), დივაცი (13 ქულა, 19 მოხსნა)
ატლანტა: ტერი (16), რაიტი (15 ქულა, 14 მოხსნა), მუტომბო (11 ქულა, 15 მოხსნა, 9 დაფარება)

დღესდღეობით ლიგას არა ჰყავს ორი უფრო „მოსისხლე“ მტერი, ვიდრე „ნიუ იორკ ნიქსი“ და „მაიამი ჰითია“. ეს ორი გუნდი აგერ ოთხი წელია, ერთმანეთს წაჰკიდებია და მათ შორის ყოველი შეხვედრა ერთი ომის ცალკეული ბრძოლაა. ერთობ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა 20 თებერვლის მატჩსაც, რომელიც, ისევე როგორც ყველა მისი წინამორბედი, გვარიანად დაძაბული და ნერვების დამწყვეტიც გამოდგა, რასაც თუნდაც ანგარიშიც მიუთითებს. ინტრიგას ისიც ამძაფრებდა, რომ ორივე ატლანტიკის დივიზიონში მეორეობას ლამობს. გამარჯვება „ნიუ იორკს“ დარჩა და ამით „ნიქსმა“ ორი კურდღელი დაიჭირა — მეორე ადგილი დაიბრუნა და „მოსისხლე“ კიდევ ერთხელ გაამწარა. პირიქითაც შეიძლება მომხდარიყო, სტუმართა ლიდერ ტიმ ჰარდევეის (12 ქულა) ბოლო ხუთ წამში ნასროლი ორი სამქულიანიდან ერთიც რომ ჩაეგდო. მას რაღაც სასწაულით მოეცარა ხელი და „მედისონ სკვერ გარდენში“ თავმოყრილი ოცი ათასი კაცის დაცინვის ობიექტი შეიქნა. არც ჰარდევეი ჩამორჩა, მეტოქის ქომაგობა ნამატჩევს გვარიანად გამოლანძღა, რაც მოგვიანებით საბოდიშო გაუხდა.

იმ დღეს „მაიამის“ დარად არც მის მეზობელს (როგორც ცხრილში, ასევე ტერიტორიულად) „ორლანდო მეჯიქს“ გაუმართლა. მანამდე ზედიზედ ცხრა თამაშში დაუმარცხებელ ორლანდოელ „ჯადოებს“ „ფინიქსის“ წასაქცევად სულ ცოტა დააკლდათ. მათმა 21 წლის ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ სტუმართა კალათის რბევას მიჰყო ხელი და ოთხწლიან კარიერაში სარეკორდო, 44 ქულა მოუგროვდა, მაგრამ ვინაიდან იგი შეკრულ, გუნდური თამაშის მიმდევარ მეტოქეს ლამის მარტო ეჯაჯგურებოდა, არაფერი გამოუვიდა. „წინა თამაშებმა დაგვღალა, დღეისთვის ძალა მხოლოდ ტრეისის შემორჩა და ის რომ არა, განადგურება არ აგვცდებოდა“ — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა დამრიგებელმა „დოკად“ წოდებულმა გლენ რივერსმა. „ფინიქსმა“ კი ბოლო ცხრა შეხვედრიდან მეშვიდე მოიგო.

20 თებერვალს კიდევ ორმა ატლანტიკის დივიზიონელმა — „ბოსტონმა“ და „ვაშინგტონმა“ „მოახერხეს“ წაგება. ეს უკანასკნელი მახავით დავრდომილ „ვანკუვერს“ ხვდებოდა და დედაქალაქელთა მცირერიცხოვან ქომაგებს იმედი ჰქონდათ, მათი ჯილა ამ უხეირო მეტოქეს მაინც მოუგებდა, მაგრამ „ჯადოქრებმა“ გააწბილეს ქომაგობა. ნბა-ს ციმბირად მონათლულ ვანკუვერში მობინადრე „გრიზლიზი“ ახალ სახლს ეძებს და არაა გამორიცხული, გაისად კანადიდან ამერიკაში გადმობარგდეს, თუმც ახალი ბინის პოვნამდე „დათვებმა“ საკუთარი თამაში იპოვეს და ზედიზედ მეხუთე გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში. მიყოლებით ამდენი თამაში „ვანკუვერს“ არსებობის მანძილზე არ მოუგია. ამდენად „დათვებს“ ახლა ოქროს ხანა უდგათ და გუნდში პროგრესზე საუბარს არ ერიდებიან. ბიჭებმა შეუდარებლად მოუმატესო, ამბობს „დათვების“ „მომთვინიერებელი“, ახალბედა მწვრთნელი სიდნი ლოუვი და შეგირდთაგან განსაკუთრებით მაჰმუდ აბდულ-რაუფს აქებს. წარსულში კრის ჯეკსონმა, მერე კი გამუსლიმებულმა და კარიერააწეწილმა აბდულ-რაუფმა ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ბინა „დათვების“ „ბუნაგში“ დაიდო და თამაშიდან თამაშამდე უმატებს. „ვაშინგტონთან“ მან სეზონში უმეტესი, 19 ქულა გაახერხა და დაცვაშიც რიგიანად გაისარჯა, ყოფილ თანაგუნდელს მიჩ რიჩმონდს თამაშიდან ბურთი არ ჩააგდებინა. რიჩმონდმა ოდენ რვა ქულა გააკეთა, ყველა საჯარიმოებით, თამაშში კი 11 სროლიდან ყველა ააცილა.

„ბოსტონ სელტიქსი“ „ჰიუსტონს“ სტუმრობდა და უიმედოდაც წააგო. „რაკეტებმა“ ფარქვეშაც და ფარსგარეთაც დაჯაბნეს „კელტები“. მასპინძელთა ახალგაზრდულმა სასტარტო ხუთეულმა, რომელშიც ერთადერთი ვეტერანი ჰაკიმ ოლაჯუონი (13 ქულა) ურევია, აშკარად აჯობა სტუმართა ასევე ახალგაზრდულ, თუმც დიდი ტრადიციების მქონე გუნდს. „ჰიუსტონი“ უკვე პირველი ნახევრის შემდეგ დაწინაურდა ათი ქულით და მას მერე მხოლოდ ზრდიდა სხვაობას. ამ წარმატებამ „ჰიუსტონის“ ტრაბახა უკანახაზელს კუტინო მობლის, საბაბი მისცა ჩვეულად ალაქლაქებულიყო, აქაოდა, ლიგაში უძლიერესი უკანა ხაზი გვყავს, მე და სტივ ფრენსისი ახალგაზრდები ვართ და დღითიდღე ვუმატებთ, როგორც ამას თავის დროზე მაიკლ ჯორდანი აკეთებდაო. მობლის არც ჰაკიმ ოლაჯუონი დაავიწყდა, 38 წლისაა, მაგრამ ახლაც დიდი მოთამაშეა და ჩვენ რომ ასეთი მაგრები ვართ, ისევ მაგის შემხედვარეო.

ისე კი „ბოსტონთან“ ამ გამარჯვებამ „ჰიუსტონი“ გვარიანად წინ წასწია. „რაკეტებმა“ ისარგებლეს თანაკონფერენციელი „დენვერის“ მარცხით და ახლა მასთან და „სიეტლთან“ ერთად დასავლეთში 9-11 ადგილებს იყოფენ. იმ დღეს „დენვერი“ დასავლეთში უძლიერეს „პორტლენდს“ ესტუმრა და პირველი მეოთხედი თანაბრადაც ეჭიდავა, თუმც მეორე 14:28 დათმო, მეტოქეს 13 ქულით ჩამორჩა და ხელიც ჩაიქნია. გაიბრწყინა „პორტლენდის“ თავდამსხმელმა რაშიდ ვოლესმა, რომელმაც სტუმართა კალათი საშინლად მოაოხრა და კარიერაში სარეკორდო, 42 ქულას მოუყარა თავი.

მოიგეს „პორტლენდის“ მდევრებმა „ლეიკერსმა“ და „საკრამენტომ“. ეს უკანასკნელი „ატლანტას“ მასპინძლობდა და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი კრის ვებერი აკლდა, უხეირო მეტოქეს იოლად გაუსწორდა. „მეფეები“ პირველივე მეოთხედში დაერივნენ „ქორებს“ და ეს თორმეტწუთეული 28:12 მოიგეს, რის შემდეგაც მატჩმა აზრი დაკარგა. დარჩენილ დროში თვალს მხოლოდ ორი უცხოელი ცენტრის, კონგოელი დიკემბე მუტომბოს და იუგოსლავიელი ვლადე დივაცის ჭიდილი ახარებდა. დღეს ნბა-ში მოთამაშეთა სხვა გუნდში გადასვლების ბოლო დღეა და ოკეანგაღმა ხმები დაირხა, „ატლანტა“ მუტომბოს გაცვლას უპირებს, რადგან აფრიკელს სეზონის შემდეგ კონტრაქტი უმთავრდება და აუცილებლად სხვა გუნდს მოძებნის. ამიტომაც კლუბი ცდილობს, სულ მუქთად არ დაკარგოს ეს კაციო. მუტომბოს კი წასვლა იმიტომ გადაუწყვეტია, რომ სანამ „ატლანტა“ სერიოზულ გუნდად ჩამოყალიბდება, იგი იქნებ კალათბურთსაც გამოეთხოვოს, მას კი ნბა-ში ჯერ სერიოზული არაფერი მოუგია.

იმ დღეს დალასში დიდი აჟიოტაჟი იყო. „დალას მავერიქსის“ მწვრთნელმა დონ ნელსონმა ამას წინათ პროსტატის კიბოს ოპერაცია გაიკეთა და დაუბრუნდა შეგირდებს, რომელთაც მის არყოფნაში მისი ვაჟი, დონი ნელსონი წვრთნიდა და არცთუ ურიგოდ. მწვრთნელის დაბრუნება დალასელებს ჩემპიონმა „ლეიკერსმა“ ჩაუშხამა, რომელმაც ბოლო 22 შეხვედრაში 21-ედ წააქცია „მავერიქსი“.

ლიგის ყველაზე ცუდი გუნდი, „ჩიკაგო ბულზი“ ცენტრალური დივიზიონის ლიდერ „მილუოკის“ მასპინძლობდა და პირველი ტაიმის შემდეგ 11 ქულის სხვაობით უგებდა, მაგრამ სასწაული არ მოხდა. მილუოკელმა რეი ალენმა თავისი საამმატჩო 34 ქულიდან ზუსტად ნახევარი ბოლო მეოთხედში ჩაუგდო მასპინძლებს და ეს თორმეტწუთეული 35:18 მოაგებინა.

„მილუოკის“ არც მისი მდევარი „ტორონტო“ ჩამორჩა, რომელმაც გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაამარცხა ოქროსშტატელი „მეომრები“. მასპინძელთა გამთამაშებელმა მარკ ჯექსონმა 12 პასი მოაგროვა, სულ კარიერაში — 9065 და სამით გაუსწრო ნბა-ს ყველა დროის უძლიერეს მეპასეთა სიაში მეოთხე ადგილზე მყოფ აიზია ტომასს. ჯეკსონის წინ ახლა მხოლოდ ჯონ სტოქტონი, მეჯიქ ჯონსონი და ოსკარ რობერტსონი არიან. ტორონტოელს მესამეადგილოსან რობერტსონამდე 822 პასიღა უკლია.

**ირაკლი ფირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორლანდო — ფინიქსი. ჯეისონ კიდი (№32) და ორლანდოელი მაიკლ დოლიკი

## კვირის მოთამაშე

### ალენ აივერსონი
**• ფილადელფია •**

ცხადია, ალენ აივერსონი. აბა, სხვა ვინ უნდა გამოერჩიათ, როდესაც კვირის მოთამაშის დასახელების დრო დადგა. „ფილადელფია სიქსერზის“ 183-სანტიმეტრიანი უკანახაზელი გუნდის მთავარი ძალაა. მან წინა კვირაში თავისიანებს ოთხი თამაშიდან ოთხი, სრულად სეზონში კი 54-დან 40 გამარჯვება მოუხვეჭა. ასეთი შედეგით დღესდღეობით ნბა-ს ვერც ერთი გუნდი ვერ დაიკვეხნის. „ფილადელფია“ წლეულს ჩემპიონობას ესწრაფვის და, უპირველეს ყოვლისა, აივერსონის იმედი აქვს, ესეც შესანიშნავ ფორმაშია და ტიტულს ტიტულზე იგებს. სეზონის დასაწყისში ბომბარდირთა სიის სიღრმეში ჩაკარგულმა ალენმა სეზონის შუაწელში საქმე გამოასწორა და გასულ კვირაში სიას სათავეშიც მოექცა მატჩში საშუალოდ მოგროვებული 30,4 ქულით. ამასთან, იგი ლიგას ჩაჭრებშიც ლიდერობს (მატჩში საშუალოდ 2,44 ჩაჭრა).



„სიქსერზმა“ და მისმა ლიდერმა კვირა მილუოკიში 107:104 გამარჯვებით დაიწყეს. ამ შეხვედრაში აივერსონმა 49 ქულა მოინაგრა, აქედან 6 — ბოლო ორ წუთში და თავის გუნდს კერკეტი „მილუოკი“ მძიმე ბრძოლაში დაამარცხებინა. ამას მოჰყვა შინ ჩემპიონ „ლეიკერსის“ 112:97 დაჩაგვრა. ამ თამაშს აივერსონისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ლიგის პირველი მექულის, კობი ბრაიანტის წინააღმდეგ თამაშობდა. ფილადელფიელმაც თავი არ შეირცხვინა, კობის აჯობა, თავად 40 ქულა გაახერხა და ლეიკერსელი ბომბარდირთა დავაში მეორე საფეხურზე ჩაანაცვლა.

მომდევნო მატჩი „ფილადელფიასთვის“ გასეირნება უფრო იყო, ვიდრე ბრძოლა, რადგან უსახურ „კლიპერსს“ მასპინძლობდა. თუმც აივერსონმა მაინც გამოიდო თავი: პირველივე მეოთხედში 20, ხოლო სულ თამაშში 42 ქულა გაახერხა. შეხვედრა კი 108:93 დასრულდა, ცხადია, „სიქსერზის“ გამარჯვებით. კვირის ბოლოლ თამაშში მანამდე ნაჯაფარმა აივერსონმა „ფინიქსს“ მისთვის მოკრძალებული 26 ქულა ჩაუგდო, თუმც ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის გუნდს 104:98 ემარჯვა.

სულ აივერსონს ამ ოთხ შეხვედრაში საშუალოდ 39,3 ქულა, 5,0 პასი, 3,3 მოხსნა და 3,0 ჩაჭრა მოუგროვდა.

წინა კვირის სხვა გამორჩეული მოთამაშეები იყვნენ: ჯამალ მაშბურნი (შარლოტი), ელტონ ბრენდი (ჩიკაგო), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი), დარელ არმსტრონგი, ტრეისი მაკგრედი (ორივე ორლანდო), შონ მარიონი (ფინიქსი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), კარლ მელოუნი (იუტა) და შარიფ აბდურარაჰიმი (ვანკუვერი)

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 40 | 14 | 74,1 |
| ნიუ იორკი | 31 | 21 | 59,6 |
| მაიამი | 32 | 22 | 59,3 |
| ორლანდო | 28 | 24 | 53,8 |
| ბოსტონი | 24 | 30 | 44,4 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 37 | 32,7 |
| ვაშინგტონი | 13 | 41 | 24,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 32 | 20 | 61,5 |
| ტორონტო | 28 | 25 | 52,8 |
| შარლოტი | 28 | 26 | 51,9 |
| ინდიანა | 23 | 28 | 45,1 |
| კლივლენდი | 21 | 30 | 41,2 |
| დეტროიტი | 20 | 33 | 37,7 |
| ატლანტა | 18 | 35 | 34,0 |
| ჩიკაგო | 8 | 44 | 15,4 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 35 | 16 | 68,6 |
| სან ანტონიო | 35 | 17 | 67,3 |
| დალასი | 33 | 21 | 61,1 |
| მინესოტა | 32 | 22 | 59,3 |
| დენვერი | 28 | 26 | 51,9 |
| ჰიუსტონი | 28 | 26 | 51,9 |
| ვანკუვერი | 18 | 36 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 37 | 16 | 69,8 |
| საკრამენტო | 33 | 17 | 66,0 |
| ლეიკერსი | 34 | 18 | 65,4 |
| ფინიქსი | 31 | 21 | 59,6 |
| სიეტლი | 28 | 26 | 51,9 |
| კლიპერსი | 17 | 38 | 30,9 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 38 | 28,3 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

*საქართველოს ნაკრებისა და ლიუბლიანის „სლოვანის“ ფორვარდს ვლადიმერ ბოისას ტრავმის გამო სამი თვე გაუცდა. ჩვეზნებური ოპერაციას კი გადაურჩა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ექიმებთან მოსიარულემ და სათამაშო ფორმადაკარგულმა სულ ახლახან განაახლა ვარჯიში. კალათბურთისმონატრებული ვოვა ახლა ორმაგი მონდომებით ირჯება, „სლოვანის“ მთავარ მწვრთნელ ტომო მაჰორიჩს დილის ვარჯიში კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა, თუმც ბოისასთან დაკავშირება მაინც გვიჭიანურდებოდა...*

# ბოისას შეცდომა ნემსმა გაასწორა



მია ახალაძის ფოტო

— ბიჭები რომ წავიდ-წამოვიდნენ, მე დარბაზში დავრჩი და ინდივიდუალურად ვივარჯიშე. თითქმის ერთი კვირაა, რაც გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვემზადები, თუმც ჩვეულ ფორმამდე ჯერაც ბევრი მიკლია. ვფიქრობ, ორ კვირაში ძველებურად ავთამაშდები.

**— რაკი სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება მოგეცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე.**

— ფეხის ტკივილს საერთოდ ვეღარ ვგრძნობ, ნატკენ მუხლს უკვე მაქსიმალურად ვტვირთავ და არაფერს ვუჩივი. ოდნავ სისწრაფე მაქვს დაკარგული, უთამაშებლობამ თავისი კვალი მაინც დამატყო.

**— ასე რატომ გაჭანჭლდა შენი გამოჯამრთელება?**

— ორი-სამი კვირა ზუსტი დიაგნოზის დასმას დასჭირდა. მას მერე თვენახევარი თერაპიაზე ვიარე, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, სულ ტყუილად, შედეგი არ ჩანდა. მოგვიანებით სხვა ექიმებს გავესინჯე და მათ ნემსებით მკურნალობა მირჩიეს. ამ მეთოდმა უფრო გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

**— სულ სამი თვე იუქმე, თუმც შუალედში ერთ თამაშშიც მიიღე მონაწილეობა. ტრავმამოუშუშებელს რამ გაიძულა მოედანზე გასვლა?**

— იმ პერიოდში შედარებით მოვმჯობინდი და ვიფიქრე, თამაშსაც შევძლებდი. ვაღიარებ, შეცდომა დავუშვი, მას მერე ტრავმა კიდევ უფრო გამიმიზეზდა, იქნებ ამის ბრალიც იყო, ჩემი გამოჯანმრთელება ასე რომ გაჭიანურდა.

**— „სლოვანის“ შემადგენლობაში სავარაუდოდ როდის გიხილავთ?**

— სულ მალე, შესაძლოა, ამ შაბათსაც ვითამაშო „ზაგორიეს“ წინააღმდეგ. ყოველივე მაჰორიჩის გადასაწყვეტია.

**— ბოლო ხანს მნიშვნელოვნად მოუკლო თქვენმა გუნდმა...**

— ამ უქმეებზე „ტრიგლავის“ ძლევით ოთხმატჩიანი წაგებების სერია შევწყვიტეთ. მანამდე მართლაც ცუდად წაუვიდა საქმე „სლოვანს“, რაც ზედმეტი ემოციებისა და ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის ბრალი იყო. სუსტ მეტოქეებთან რატომღაც ზედმეტად თავდაჯერებულნი გადიოდნენ ბიჭები მოედანზე.

**— გუნდის უსუსურმა თამაშმა, ალბათ, მაჰორიჩიც გაანაწყენა.**

— თავისთავად, „ტრიგლავთან“ შეხვედრის შემდეგლა გამოუკეთდა ხასიათი.

**— ჩვენებურების მისამართით რაიმე საყვედური ხომ არ დაცდენია მწვრთნელს?**

— უგრეხელიძეც და ცქიტიშვილიც ჩინებულ ფორმაში არიან, რაც დრო გადის, დათო და ნიკა „სლოვანის“ წამყვან მოთამაშეებად ყალიბდებიან, მათ მიმართ არაფერი აქვს მაჰორიჩს საპრეტენზიო.

რაც შეეხება კოტე ტულუშს, მას მართლაც ჩინებული დებიუტი გამოუვიდა. ერთი შეხვედრა განსაკუთრებით კარგად ჩაატარა, დაცვაში ისე ითამაშა, მაჰორიჩმა თქვა, მეც არ მოველოდიო.

**— ალბათ, იცი, ეროვნული ნაკრები მაისში სლოვენიაში გეგმავს წინასაევროპო შეკრების მოწყობას...**

— ამის შესახებ არაფერი გამიგია. ისე, ძალიან კარგი იდეაა. აქ ნაკრებს ყველა პირობა ექნება, რათა ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ციკლისთვის სრულფასოვნად მოემზადოს.

გიორგი გიკაშვილი



# ჩემპიონი ვენაში შეჩერდა

ხელბურთელმა ქალებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი დაასრულეს. მიმდინარე გათამაშების უმთავრესი სენსაცია, ცხადია, ამჟამინდელი ჩემპიონის „ჰიპოს“ წარუმატებლობაა. ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ავსტრიულ კლუბს მეოთხედფინალში გასვლა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ვენაში, საკუთარ მოედანზე გადამწყვეტი მატჩის წაგებით ნაადრევად გამოეთიშა ასპარეზობას.

მოულოდნელი იყო ამავე A ჯგუფის ლიდერ „აკვას“ მარცხიც. რუსეთის ხუთგზის ჩემპიონმა კარგა ხანია, გაინაღდა შემდგომ ეტაპზე გასვლა, თუმცა აუტსაიდერ „ფრედერიკსბერგთან“ შეხვედრაში მოტივაცია მაინც ჰქონდა. ვოლგოგრადელები თუნდაც ფრის შემთხვევაში სატურნირო ცხრილში პირველობას შეინარჩუნებდნენ, რაც მეოთხედფინალში გარკვეულ უპირატესობას იძლევა.

ყველაზე ბუნდოვანი ვითარება იყო B ჯგუფში — დასკვნით ტურამდე სამი გუნდი აცხადებდა საგზურებზე პრეტენზიას. უნგრეთის ჩემპიონმა „ჰერცმა“ ბუდაპეშტში იოლად დაძლია „გისენის“ წინააღმდეგობა, ოსლოში კი მეტოქეებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართეს. ტაიმიც (8:8) და მთელი მატჩიც ფრედ დასრულდა, რამაც „ფერობუსი“ მეოთხედფინალის მიღმა დატოვა.

დანარჩენი ორი ჯგუფის თამაშებს ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა — ყველა საგზური წინა ტურში „დარიგდა“. სლოვენიის ჩემპიონი ბოლო დღემდე ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი იყო. დასკვნით შეხვედრაში „კრიმიც“ დაეცა, თუმცა სატურნირო ვითარებაზე ამას გავლენა არ მოუხდენია.

A ჯგუფი: ჰიპო (ავსტრია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 29:30; ფრედერიკსბერგი (დანია) — აკვა (რუსეთი) 24:23

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბუდუჩნოსტი | 6 | 3 | 2 | 1 | 171:149 | 8 |
| აკვა | 6 | 3 | 1 | 2 | 148:126 | 7 |
| ჰიპო | 6 | 3 | 0 | 3 | 158:162 | 6 |
| ფრედერიკს. | 6 | 1 | 1 | 4 | 132:172 | 3 |

B ჯგუფი: ჰერცი (უნგრეთი) — გისენი (გერმანია) 32:19; ბაეკელაგეტსი (ნორვეგია) — ფერობუსი (ესპანეთი) 18:18

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერცი | 6 | 4 | 0 | 2 | 175:142 | 8 |
| ბაექელაგეტსი | 6 | 3 | 2 | 1 | 148:147 | 8 |
| ფერობუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 154:160 | 6 |
| გისენი | 6 | 1 | 0 | 5 | 149:177 | 2 |

C ჯგუფი: ვიბორგი (დანია) — ლარვიკი (ნორვეგია) 27:25; ოლჩიმი (რუმინეთი) — არტასი (საბერძნეთი) 39:29

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 6 | 5 | 0 | 1 | 170:145 | 10 |
| ლარვიკი | 6 | 4 | 0 | 2 | 152:132 | 8 |
| ოლჩიმი | 6 | 3 | 0 | 3 | 159:150 | 6 |
| არტასი | 6 | 0 | 0 | 6 | 139:193 | 0 |

D ჯგუფი: მილარი (ესპანეთი) — კრიმი (სლოვენია) 30:21; სპარტაკი (უკრაინა) — გრაბოპლასტი (უნგრეთი) 39:28

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრიმი | 6 | 3 | 2 | 1 | 153:140 | 8 |
| მილარი | 6 | 4 | 0 | 2 | 160:159 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 2 | 0 | 4 | 169:171 | 4 |
| გრაბოპლასტი | 6 | 1 | 2 | ? | 156:168 | 4 |

მეოთხედფინალი. 4 და 11 მარტი

| | |
|---|---|
| აკვა — ჰერცი | მილარი — ვიბორგი |
| ბაეკელაგეტსი — ბუდუჩნოსტი | ლარვიკი — კრიმი |



# ფისახის ორი წლით რაგბის ხსენებაც კი აუკრძალეს



კობუს ფისახი

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კვაჭი კობუს ფისახი, რომელიც 2000 წლის ოქტომბერში ნანდროლონის გამოყენებაში ამხილეს, ორი წლით მოკვეთეს რაგბიდან. სამხრეთ აფრიკის რაგბისკავშირის (სარკ) ოფიციალური კომუნიკე იტყობინება, რომ დისკვალიფიკაციის ათვლა დოპინგ-ტესტის ჩაფლავების დღიდან დაიწყო.

ფისახის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვსო, ამბობენ კავშირის ჩინოვნიკები.

27 წლისა და 18 კეპის მომხვეჭ კობუს ფისახის დოპინგის მიღება სამხრეთ აფრიკის პროვინციების ჩემპიონატის (ქარის თასი) ფინალური მატჩის წინ დაუდგინეს. პირველი ტესტის სიმართლე განმეორებითმა გამოკვლევამაც დაადასტურა, რომელიც ნოემბერში ჩატარდა.

იმ პერიოდში აღმოსავლეთ პროვინციის მორაგბეს მაჯა ჰქონდა ტრავმირებული და ამ მიზეზით „ქურციკების“ არგენტინულ-ევროპულ ტურნეში მონაწილეობა ვერ მიიღო. შინ დარჩენილს კი მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალა. კეიპტაუნში იგი რამდენჯერმე წარსდგა ფედერაციის დისციპლინარული სასამართლოს წინაშე, რომელსაც მოსამართლე ედვინ კინგი თავმჯდომარეობდა.

„სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფისახის ორი წლით თამაში, ვარჯიში, მსაჯობა, ორგანიზაციული საქმიანობა და საერთოდ ყველაფერი აეკრძალა, რაც კი რაგბისთან ოდნავ მაინცაა კავშირში“ — წერია კომუნიკეში. ასე რომ, ფისახის, შეიძლება ითქვას, ოვალის დახატვაც კი აუკრძალეს. არადა, მორაგბის ადვოკატები დისციპლინარებს გადაჭრით უმტკიცებდნენ, რომ მას თავისით არც ერთი მედიკამენტი არ მიუღია და მხოლოდ კავშირის და კლუბის მიერ მიცემულ ვიტამინებს ყლაპავდა.

იანვარში სამხრეთაფრიკულმა გაზეთმა „ბეელდმა“ ისიც კი დაწერა, რომ საკვების დანამატი ვიტამინები, რომლებსაც კავშირი მორაგბეებს აწვდიდა, ნამდვილად შეიცავდა აკრძალულ ნივთიერებებს, თუმც ბატონმა კინგმა ეს „აღმოჩენა“ არ გაითვალისწინა, რითაც ფისახის ადვოკატები დიდად აღაშფოთა. მათაც მყის განუცხადეს ჟურნალისტებს, რომ სამართლის აღდგენისთვის ბოლომდე იბრძოლებენ და როგორც კი დამოუკიდებელი სასამართლო მათ სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, რაშიც იოტისოდენა ეჭვიც კი არ ეპარებათ, მაშინვე სარკისა და აღმოსავლეთ პროვინციისაგან დიდ ფულად კომპენსაციას მოითხოვენ.

ფისახიმდე ბოლო „ქურციკი“, ვინც დოპინგისთვის დისკვალიფიკაციით დასაჯეს, პრეტორიის შერკინების მეორეხაზელი იოჰან აკერმანი იყო. მას 1997 წელს სტეროიდების გამოყენებისთვის ორი წლით მოკვეთა მიუსაჯეს. აკერმანი რაგბის შარშან დაუბრუნდა იოჰანესბურგის შემადგენლობაში და წლეულს იმ 30 მორაგბეთა შორისაა, კავშირთან კონტრაქტი რომ უკვე გააფორმა.

ბაბი ბურული



ჯონ ილზი სამი ერის ჩემპიონის სარგო სინით



მეტ ბერკს შოტლანდიელი გრეგორ თაუნსენდი ბოჭავს

# ილზს ვოლაბობა არ მთმობა

რამდენიმეჯერ საჯაროდ განეცხადებინა, უკვე ავსტრალიის ნაკრების კაპიტან ჯონ ილზს წლევანდელი სეზონის დამთავრებისთანავე „ვოლაბებს“ ვემშვიდობებიო. ავსტრალიის რაგბის კავშირიც მის შემცვლელს ეძებდა, მაგრამ ახლა შეიძლება ეს ძებნა შეწყდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჯონ ილზმა თითქოს აზრი შეიცვალა და ორიოდ დღის წინ ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, შეიძლება რაგბის კავშირთან კონტრაქტი 2003 წლამდე გავაგრძელოო.

ამჟამად ილზს მხარი აწუხებს და ზე 12-ის წინ თავისი გუნდის, ქვინსლენდის „წითლების“ მოსამზადებელი მატჩები გამოტოვა. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ოღონდ „ვოლაბად“ დარჩენა ერთი წლით ნაღდად სურს. მერე კი შეიძლება 2003 წლის მსოფლიოს თასზეც დავეხმარო თვისტომებს გამარჯვების მოპოვებაშიო, დასძინა ილზმა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს რიგით მეხუთე თასს ავსტრალია უმასპინძლებს, რაშიც ახალი ზელანდიაც დაეხმარება.

„ზუსტად ვერ გეტყვით, კიდევ რამდენ ხანს დავრჩები ნაკრებში, თუმცა ერთი რამ ცხადია: ჩემი კარიერა კი არ იწყება, მთავრდება“ — თქვა „ვოლაბების“ შერკინების მეორეხაზელმა.

თუ ილზის საქმე ჯერ ბოლომდე გარკვეული კიდევ არაა, ავსტრალიის ნაკრების მეორე წევრმა მეტ ბერკმა უკვე მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი, ოღონდ თავის გუნდ სიდნეისთან, რომელიც ზე-12-სთვის ემზადება. „ვოლაბებისთვის“ 566 ქულის (21 ლელო) მომხვეჭი მცველი გასულ სეზონში ქუსლის ტრავმამ გააწამა. ახლა კი იგი მშვენიერ ფორმაში ყოფილა, სიდნეის მთავარი მწვრთნელი ბობ დვაიერი, რომელმაც ავსტრალიას 1991 წელს მსოფლიოს თასი მოაპოვებინა, დიდად გახარებულა თავისი შეგირდის 2003 წლამდე დანარჩუნებით.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 509 | ბორდო-რაიო ვალეკანო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.15 | 510 | პარმა-პსვ ეინდჰოვენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 511 | კაიზერსლაუტერნი-სლავია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 512 | ნანტი-პორტუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 24.00 | 513 | ინტერი-ალავესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 24.00 | 514 | ბარსელონა-აეკ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 24.05 | 515 | ლივერპული-რომა | 2,3 | 3,1 | 2,7 |
| 00.45 | 516 | სელტა-შტუტგარტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

ლიბერტადორესის თასი

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.20 | 521 | ტაჩირა (ვენესუელა)-პენიაროლი (ურუგვაი) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 03.30 | 522 | ველეზ სარსფილდი (არგენტინა)-ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 04.30 | 523 | ოლიმპია (პარაგვაი)-სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 05.30 | 524 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-სტრონგესტი (ბოლივია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 601 | ბორდო | -5,0 | რაიო ვალეკანო | -1,1 |
| 22.15 | 602 | პარმა | -1,45 | პსვ ეინდჰოვენი | -2,1 |
| 23.30 | 603 | კაიზერსლაუტერნი | -1,15 | სლავია | -4,0 |
| 23.45 | 604 | ნანტი | -2,8 | პორტუ | -1,3 |
| 24.00 | 605 | ინტერი | -1,1 | ალავესი | -5,0 |
| 24.00 | 606 | ბარსელონა | -1,01 | აეკ | -10,0 |
| 24.05 | 607 | ლივერპული | -1,1 | რომა | -5,0 |
| 00.45 | 608 | სელტა | -1,4 | შტუტგარტი | -2,3 |

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

22 თებერვალი

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 709 | ბორდო-რაიო ვალეკანო | 2,1 | 12,0 | 22,0 | 3,0 | 5,0 | 9,0 | 18,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.30 | 710 | პარმა-პსვ ეინდჰოვენი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.00 | 711 | კაიზერსლაუტერნი-სლავია | 1,6 | 12,0 | 30,0 | 2,3 | 5,0 | 12,0 | 22,0 | 10,0 | 12,0 |
| 23.00 | 712 | ნანტი-პორტუ | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 8,0 | 18,0 | 9,0 | 7,0 |
| 23.30 | 713 | ინტერი-ალავესი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.30 | 714 | ბარსელონა-აეკ | 1,5 | 15,0 | 35,0 | 2,0 | 5,6 | 18,0 | 20,0 | 12,0 | 15,0 |
| 24.00 | 715 | ლივერპული-რომა | 4,0 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 01.30 | 716 | სელტა-შტუტგარტი | 2,2 | 12,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 8,0 | 16,0 | 10,0 | 6,5 |

კალათბურთი

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 818 | ვაშინგტონი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 819 | შარლოტი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 820 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 821 | დალასი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 822 | ჩიკაგო-კლიპერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

კალათბურთი. სუპროლიგა

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 825 | ცსკა-ალბა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 826 | პლანია-სკავოლინი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 827 | ცეპტერი-ლიეტუვოს რიტასი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.00 | 828 | მაკაბი-კრკა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 829 | სიენა-სპლიტი | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 | 830 | ბაიერი-პო ორტეზი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 23.30 | 831 | პანათინაიკოსი-ულქერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 832 | ოსტენდე-პარტიზანი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 834 | ფორტიტუდო-რეალი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 835 | კინდერი-ოლიმპია | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 836 | აეკ-ბენეტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

ჰოკეი

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 914 | ოტავა-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 915 | აილენდერსი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 916 | ტორონტო-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 917 | ნიუ ჯერსი-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 07.00 | 918 | კალგარი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**ხუთშაბათს, 22 თებერვალს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ლაჰტი (ფინეთი)

# ოქროს გოგონა





REUTERS ლაჰტიდან

ნორვეგიელმა ბენტე სკარიმ (მარჯვენა ფოტოზე) რუსები, ოლგა დანილოვა და ლარისა ლაზუტინა ოქროს არ გააკარა

თხილამურობის 44-ე მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამით 20 თებერვალი ქალთა დღე იყო, მათ 10 კილომეტრზე კლასიკურად უნდა ერბოლათ. ფავორიტები იყვნენ, ცხადია, რუსები — ოლგა დანილოვა და ლარისა ლაზუტინა, ფინელი ვირპი კუიტუნენი, რომელმაც ადრე კომბინაციის მოგებით იმიჯი ფრიად აიმაღლა და ნორვეგიელი ბენტე სკარი, მსოფლიოს ჩემპიონი 15 კილომეტრზე კლასიკურ რბოლაში, რომელიც ჩემპიონატის სტარტზე შედგა. სკარის აქციები უფრო იმიტომაც ფასობდა, რომ 10 კილომეტრი მისი რჩეული დისტანციაა და რაზან 15 კილომეტრი მოიგო, მსჯელობდნენ სპეციალისტები, აქაც ყველაზე მეტი შანსი აქვსო.

ზამთრის სახეობათაგან თხილამურობა ყველაზე პროგნოზირებადი დისციპლინაა. აქ ძირითადად უძლიერესი იმარჯვებს, რადგან, მარათონის არ იყოს, შეჯიბრის ბედი წამის მეასედებზე არ ჰკიდია და პატარა შემთხვევას ყველაფრის ამოტრიალება არ შეუძლია. ამიტომაც გუშინწინდელ პროგნოზებში დაეჭვება მხოლოდ იმით თუ იყო გამართლებული, რომ 10 კილომეტრზე ქალთა კლასიკური რბოლები მსოფლიოს პირველობებზე 12 წლის მივიწყებული გახლდათ. 1989-ში, მარია-ლიზა კირვისნიემის ხელმძღვანელობით ფინელებმა სამივე ხარისხის მედალი დაინარჩუნეს, მერე კი დისტანცია რატომღაც ნონ გრატა გახდა და თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციამ იგი მხოლოდ ახალ საუკუნეში გაიხსენა. ცალკე წერილის თემაა ის, რომ თხილამურობის შეფები მარტო ამგვარ სიახლეს არ სჯერდებიან და სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ყველა ტიპის რბოლათა რეგლამენტის მოდერნიზებას გეგმავენ. პროექტი ჯერ ჩანასახშია.

გუშინწინ ათიდან პირველ ორ კილომეტრზე დანილოვა დომინირებდა. პასიური ჩანდა სკარი, რომელსაც, 15-კილომეტრიანი რბოლისგან განსხვავებით, თავიდანვე წინ გაჭრის სურვილი სულაც არ ეტყობოდა. სხვები ენერგიულად ხმარობდნენ ჯოხებს, მაგრამ დანილოვა გამალებით მიქროდა და გვარიანად ჩამორჩნენ.

მესამე კილომეტრიდან ვითარება შეიცვალა. სკარიმ ჰარმონიულად მოუჩქარა და დანილოვა დაიღალა თუ რა იყო, სულ ორიოდე კილომეტრში რუსთან 3,4-წამიანი სხვაობა მოსპო, შუა გზაზე კი სამი წამით დაწინაურდა. როგორც შემდეგ გაირკვა, კვანძიც აქ გახსნილა. ნორვეგიელმა ტემპი შეინარჩუნა, დანარჩენებმა ცოტა დაამუხრუჭეს კიდეც, ამიტომ სკანდინავიელის ფინიში დამაჯერებელი იყო, 12,9-წამიანი მარაგით. დანილოვამ მეორე პოზიცია შეინარჩუნა, ლაზუტინა მესამე გახლდათ და ამ ბრინჯაოთი მსოფლიოს პირველობებსა და ოლიმპიადებზე დაგროვილი მედლები ორ ათეულამდე დაუმრგვალდა. „უძლიერესმა გაიმარჯვა — კარგად თქვა დანილოვამ რბოლის კომენტირებისას — ჩემი შედეგით უკმაყოფილო კი ვარ, მაგრამ სკარის გასასწრებად დღეს ერთადერთი მეთოდი თუ გამოდგებოდა: უნდა დავლოდებოდი და მეთხოვა, ცოტა ნელა ისრიალე-მეთქი“.

გუშინწინ დანილოვა მეორე ადგილმა დაალონა, ნინა კემპელმა და ვენდი ვაგნერმა კი 23-ე და 26-ე ადგილების დაკავებით თავი მოიწონეს, რა ხანია 30 საუკეთესოში ორი ამერიკელი ერთად არ ყოფილაო. ამერიკასა და კანადაში ბუნებრივი პირობები სათხილამუროდ დიდებულია, მაგრამ ახალი სამყაროს შვილები სათხილამურო ასპარეზობებზე ოდითგანვე უშნოდ გამოდიან. არც ლაჰტის მსოფლიო პირველობაა გამონაკლისი, სადაც ამერიკელებს და კანადელებს ძირითადად ცხრილის ბოლოს შევსება ეკისრებათ ხოლმე. ყოველივე ამას მარტო თოვლის კი არა, ტრადიციების მნიშვნელობისთვის ხაზგასასმელად ვამბობთ. ეტყობა, ჯერაც ვერ გახდა თხილამურები ამერიკის კონტინენტზე ფართო მოხმარების საგანი, იგი ისევ ერთეულთა იარაღია.

მოკლედ, ლაჰტიში „ოქროს ბიჭუნას“ ვინაობა ცოტა ადრე გაირკვა, მას პერ ელოფსონი ჰქვია, ხოლო „ოქროს გოგონად“ ბენტე სკარი-მარტინსენი მოინათლა (მარტინსენი ქალიშვილობის გვარია), რომელმაც ელოფსონივით ორი ოქროს მედალი დაითრია. სათხილამურო ჩინოვნიკის ქალიშვილს განუზრახავს, უახლოეს ხანებში თავის თმას ნატურალური წაბლისფერი დაუბრუნოს. ქერა კულულები, რომლებითაც სკარი ლაჰტიში ათასობით და მსოფლიოში იქნებ მილიონობით თხილამურობის ქომაგს ეჩვენა, საღებავის ნამუშევარია. იმიჯის შეცვლა ნორვეგიელს სასიკეთოდ წაადგა.

**დავით გულუა**



REUTERS ლაჰტიდან

ქალთა სპრინტის ფინელი ჩემპიონი პირიო მანინენი (მარცხნივ) და მისი თანამემამულე, ვერცხლის პრიზიორი კატი სუნდკვისტი

| ვაჟები. 1500 მ. სპრინტი |
|---|
| 1. ტორ ანდრე ჰეტლანდი (ნორვეგია) 3:14,1 |
| 2. კრისტიან ძორძი (იტალია) 3:14,9 |
| 3. ჰავარდ სოლბაკენი (ნორვეგია) 3:15,6 |

| ქალები. 1500 მ. სპრინტი |
|---|
| 1. პირიო მანინენი (ფინეთი) 3:41,5 |
| 2. კატი სუნდკვისტი (ფინეთი) 3:43,1 |
| 3. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) 3:43,5 |

| ქალები. 10 კმ. კლასიკური |
|---|
| 1. ბენტე სკარი (ნორვეგია) 26:55,5 |
| 2. ოლგა დანილოვა (რუსეთი) 27:08,4 |
| 3. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 27:27,0 |
| 4. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 27:40,5 |
| 5. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) 27:43,4 |



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# რეფორმები: გრეცკი მოქმედებს, ლემიე ლაპარაკობს

20 თებერვალი

**ტამპა 3:2 სენტ ლუისი (1:1 1:1 1:0)**
1:0 უორინერი 2(8), 1:1 მელანბი 15(6), 2:1 უორინერი 29(9), 2:2 ხავანოვი 33(6), 3:2 კუბინა 45(9)

**ედმონტონი 5:0 ლოს ანჯელესი (1:0 3:0 1:0)**
1:0 რ. მიურეი 13(11), 2:0 ნიინიმაა 28(9), 3:0 პოტი 31(8), 4:0 უეიტი 34(16), 5:0 უეიტი 52(17)

**ნეშვილი 3:3 დეტროიტი (0:1 3:0 0:2 0:0)**
0:1 გ. ბრაუნი 18(9), 1:1 გ. ჯონსონი 27(11), 2:1 არხიპოვი 36(4), 3:1 იტონი 38(2), 3:2 კოზლოვი 42(14), 3:3 ფიოოროვი 56(28)

**სან ხოსე 3:2 კოლუმბუსი (0:1 1:1 1:0 1:0)**
0:1 ჰაინცი 16(18), 0:2 კრონი 24(5), 1:2 სმიტი 26(2), 2:2 ტორნტონი 58(14), 3:2 შტურმი 65(12)

დიდები იმიტომაც გამოირჩევიან უბრალო მოკვდავთაგან, რომ ყველაფერს განსხვავებულად ჭვრეტენ და აკეთებენ. სულ ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც უეინ გრეცკი ფინიქსის ერთ-ერთი თანამფლობელი გახდა და უკვე მოასწრო ახალ ამპლუაში თავისი სიტყვის თქმა. ოდესღაც ლმობიერი, მომთმენი და თავმდაბალი ჰოკეისტის ნაცვლად მიზანსწრაფული, მკაცრი და მომთხოვნი ბიზნესმენი იხილა ყველამ. ამ ხნის განმავლობაში გრეცკიმ თითქმის მთლიანად შეცვალა „კოიოტთა“ ხელმძღვანელობა. ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით პოსტს ინარჩუნებს, გუნდის მწვრთნელი რონ ფრენსისია. თავდაპირველად კი უეინს გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი არ მოუვიდა თვალში, რომელთან ურთიერთობაც ჯერ კიდევ ფინიქსის გაყიდვისას გაურთულდა. კლარკი კლიფ ფლეჩერი შეცვლის. ის ცნობილი სპეციალისტია და ამ თანამდებობაზე არაერთ კლუბში წარმატებით უმუშავია, მაგრამ მას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. ფინიქსის ახალმა მფლობელებმა გუნდის ბიუჯეტის მკვეთრად შემცირება მოითხოვეს, ამიტომაც კლიფს არცთუ იოლი მოლაპარაკება ელის „კოიოტების“ ლიდერებთან კეით ტკაჩუკსა და ჯერემი რენიკთან. მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინიც, რომელიც წელიწადნახევარია, გაფიცულია, ახალი გენერალური მენეჯერის გადამწყვეტ სიტყვას ელის. ფლეჩერს გუნდში მასავით ახალმისული ხალხი დაეხმარება, რომელთაგანაც მწვრთნელის თანაშემწე პეტ კონაკერს და სკაუტებს — შეინ ჩურლას და უორენ რაიკელს გამოვყოფთ. სამივე მათგანი სხვადასხვა დროს გრეცკის პარტნიორი იყო.

მარიო ლემიემ კი ამ დღეებში მოულოდნელი განცხადებით გააოცა ყველა. ჩემს არყოფნაში ჰოკეი მეტად კონტაქტური გამხდარაო, გულახდილად აღიარა სუპერმარიომ. ამიტომ, მისი აზრით, ჰოკეიში ძირეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო, კერძოდ, ერთ გუნდში მინდვრის მოთამაშეთა რაოდენობის ოთხამდე შემცირდება. ამასობაში კი მეტოქეებთან და ბორტებთან ჭიდილით გადაღლილმა ლემიემ გადაწყვიტა, შეისვენოს, რადგანაც კვლავ ასტკივდა ზურგი. ის ოთხშაბათს ფლორიდასთან შეხვედრას გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ თუ დაბრუნების შემდგომ ჩატარებულ პირველ 17 მატჩში მარიომ ამდენივე გოლი და პასი მიითვალა, ბოლო ექვსში მის ანგარიშზე მხოლოდ 4 (3 გოლი, 1 პასი) ქულაა.

დღის მთავარი თამაში კი ედმონტონში გაიმართა, სადაც ერთმანეთს დასავლეთის მერვე საპლეიოფო საგზურისთვის მებრძოლი გ[illegible]ები ხვდებოდნენ. უქმეებზე ლოს ანჯ[illegible]ესმა ვანკუვერიდან ცნობილი მეკარე ფელიქს პოტვინი შეიძინა, მაგრამ წინა მატჩში იგი განზრახ არ ათამაშა, რათა გოლკიპერი მთავარ კონკურენტთან შეხვედრისთვის უკეთ მომზადებულიყო. თუ როგორ მოემზადა პოტვინი, თავად განსაჯეთ — ხუთი შაიბიდან მინიმუმ ორი მის სინდისზეა და როცა ვერც მცველ ტომ პოტის შორეული დარტყმა მოიგერია. „ვფიქრობ, დრო მჭირდება, რათა გუნდს შევეჩვიო, ალბათ, ერთი კვირა მაინც“ — თავი იმართლა მეკარემ.

ზედიზედ მესამედ დამარცხდა ფავორიტი სენტ ლუისი. თუმცა თავად წაგებაზე დასანანი ისაა, რომ გუნდი მეტად უსუსურად გამოიყურებოდა. ამას ვერც ლიდერების არყოფნით გაამართლებ. როდესაც ტამპელები მესამედ დაწინაურდნენ, „ბლუზმენებს“ საკმარისი დრო — 15 წუთი რჩებოდათ მატჩის გადასარჩენად, მაგრამ მეტოქის კართან სერიოზული საფრთხის შექმნა მაინც ვერ მოახერხეს.

ოვერტაიმებში ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად სან ხოსე რჩება. კოლუმბუსთან დამატებით დროში მოპოვებული მოგება „ზვიგენებისთვის“ მეექვსე გახდა, თანაც მასპინძლებმა ოვერტაიმის დასრულებამდე 42 წამით ადრე გამოგლიჯეს მეტოქეს გამარჯვება.

**სამველ ლარიბიანი**



AP სან ხოსედან

სან ხოსე — კოლუმბუსი. ევგენი ნაბოკოვმა კოლუმბუსელ ჯეიმი პუშორს არ გაატანინა

ეგნატე ფიფიას სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი
აცხადებს მსურველთა მიღებას
ინგლისური ენის გაძლიერებული შესწავლის ჯგუფში
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 6ა
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 98 53 62 (11-დან 14 საათამდე)

# ტაი-ბრეიკი

## მულტი-ვარსკვლავები

ᲗᲣ ერთხელ მაინც მოგიკრავთ თვალი ყველა დროის ყველაზე პოპულარული მულტიპლიკაციური სერიალის — „სიმპსონებისთვის“, ამ გონებამახვილურ და წარმტაც სანახაობას ძნელად მოწყდებით. შოუ სხვადასხვა წლებში პოლ მაკარტნის, ელტონ ჯონსა და თვით პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსაც კი გაუხმოვანებიათ.

და აი, თებერვალში ჩოგბურთელების დროც დადგა. ერთ-ერთ სერიაში, რომელსაც „ჩოგბურთის საფრთხე“ ერქვა, ქალაქ სპრინგფილდს ანდრე აგასი, პიტ სამპრასი და დები უილიამსები ეწვივნენ „კრასტი ჩერითი კლასიკის“ ტურნირზე სათამაშოდ. „სიმპსონები ჩვენს გვერდით უკვე ძალიან დიდი ხანია, არიან. ვფიქრობ, მათ ბევრი რამ შემატეს უამრავი ადამიანის, მათ შორის, ჩემს ცხოვრებასაც“ — განაცხადა აგასიმ, რომელმაც მულტსერიალს თავისი ხმა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში უწილადა.



გასიმპსონებული ჩოგბურთელები

## ანდრე აგასი და სკოლა

ᲐᲜᲓᲠᲔ აგასის მხოლოდ ჩოგბურთზე არასოდეს უფიქრია და ეს არც ბოლოდროინდელ წარმატებებს შეუცვლია. ახლახან დასრულებული ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა ხუთშაბათს საზოგადოებას თავისი ახალი პროექტი — ანდრე აგასის კოლეჯისთვის მოსამზადებელი აკადემია წარუდგინა. სკოლა გაჭირვებული ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და მას ერთდროულად ჩოგბურთელის სახელობის საქველმოქმედო ფონდი, აშშ-ის განსახლებისა და ურბანიზაციის სამინისტრო და ნევადის შტატი დააფინანსებს.

„ამ სკოლაზე უკვე კარგა ხანია, ვოცნებობდით. ჩვენი მიზანია, ბავშვებს განათლების დონე და ამბიციები გარკვეულწილად გავუზარდოთ. თუ მოსწავლისგან ბევრს არაფერს ელიან, ის იმედს არ გაგვიცრუებს. თუ მისგან ბევრ შრომას, სწავლასა და კოლეჯში შესვლას ელიან, იმედგაცრუებული არც მაშინ დავრჩებით“ — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკელმა.

თავად აგასი სკოლაში მხოლოდ მერვე კლასამდე დადიოდა. მან დაუსწრებელი კურსები გაიარა და დიპლომი ისე მიიღო, რადგან მამამისი, მაიკი თვლიდა, რომ სწავლა ანდრეს ჩოგბურთის ვარსკვლავად გახდომაში ხელს შეუშლიდა. ხოტორა ლას ვეგასელი მამის გადაწყვეტილებას სწორად მიიჩნევს: „სკოლაში სიარული პროფესიონალად ჩამოყალიბების მსურველებს ნამდვილი ჩოგბურთელებისგან ძალიან ჩამოარჩენს. კოლეჯში გატარებული ყოველი წელი ერთი ადგილის ტკეპნაა, მაშინ, როდესაც სხვები წინ მიიწევენ“.

პრესკონფერენციაზე აგასის ავსტრალიის ღია პირველობის მოგების აღსანიშნავად მელბურნში, მდინარე იარაში ჭყუმპალაობის შესახებაც ჰკითხეს: „მდინარე გაცილებით ჭუჭყიანი გამოდგა, ვიდრე მეგონა. ისე, არ მინდოდა, ყველას გაეგო ეს. სამი კვირით ადრე ვთქვი, თუ ჩემპიონი გავხდები, შიგ ჩავხტები-მეთქი. როცა მართლა გავიმარჯვე, ამის გაკეთება სულაც აღარ მსურდა, ვინატრე, ნეტავ, არ მეთქვა-მეთქი, მაგრამ სიტყვა მაინც აღარ გავტეხე“.

ყველას კარგად მოეხსენება, რა აღიზიანებს ამერიკელს ყველაზე მეტად — ის, რომ გელფრენდ შტეფი გრაფთან ურთიერთობაზე ეკითხებიან. მავანმა ჟურნალისტმა მაინც გარისკა და ჩოგბურთელს გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობის კომენტირება სთხოვა, გრაფი ორი თვის ფეხმძიმეა და წყვილი მალე დაქორწინებას გეგმავსო.

„ზუსტ პასუხს არ გაგცემთ, რათა უფრო დიდი სიამოვნება არ მოგაკლოთ — თქვენთვის უფრო საინტერესო იქნება, თუ ამაზე იფიქრებთ და ვერსიებს შეადგენთ. მე ვერ მივაქცევ ყურადღებას ყველა ჭორს, რაც კი იწერება“ — მოკლედ მოჭრა ანდრემ.

## მშვიდობის დესპანი

ᲕᲘᲯᲔᲘ ᲐᲠᲛᲘᲢᲠᲐᲯᲘᲡ სახელი ჩოგბურთის რიგით მოყვარულებს იქნებ ამჟამად არაფერს ეუბნება, მაგრამ თავის დროზე ის საუკეთესო ათეულში შედიოდა, არაერთი ტურნირი მოუგია და კარიერის დასრულების შემდეგ წარმატებული მსახიობი და ბიზნესმენიც გახდა. თუმცა 47 წლის ინდოელისთვის ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისი იყო. ცხოვრების მთავარ მიღწევად მას გასულ პარასკევს გაეროს მშვიდობის დესპანად არჩევა მიაჩნია.

„ეს ევერესტია, მთის მწვერვალი, ვერც კი შევადარებ იმას, რაც აქამდე მიკეთებია. ეს მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი ჩემი ქვეყნის დაფასებაა“ — განაცხადა არმიტრაჟმა.

საზეიმო ცერემონიალზე გაეროს შტაბ-ბინაში ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ყოფილ ჩოგბურთელს მტრედის ფორმის გულსაბნევი უბოძა, ადამიანის საუკეთესო თვისებების განსახიერება უწოდა და შიდსის და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა შეუქო: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას და მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლას ცდილობთ. დიდი იმედი მაქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს გაეროს მოღვაწეობისა და მიზნების შესახებ უკეთეს წარმოდგენას შეუქმნით“.

არმიტრაჟი რიგით მერვე მშვიდობის დესპანია. მის გარდა ასეთი დიდი



ვიჯეი არმიტრაჟი

პატივი ისეთ ვარსკვლავებს ხვდომიათ წილად, როგორებიც მოკრივე მუჰამედ ალი, მსახიობი მაიკლ დუგლასი, მომღერალი ლუჩანო პავაროტი და კალათბურთელი მეჯიქ ჯონსონი არიან. მშვიდობის დესპანობა არც ანაზღაურებადი სამუშაოა და არც ყოველდღიური. თავისი როლის შესრულების წესს გაეროს მუშაკებთან ერთად თითოეული პიროვნება ინდივიდუალურად ადგენს.

კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებული არმიტრაჟი ბავშვობაში თურმე 12-დან 6 თვეს საავადმყოფოებში ატარებდა, ჩოგბურთის თამაშიც ამიტომ ურჩიეს ექიმებმა: „ერთ წუთს ვითამაშებდი და მერე ხუთს ვისვენებდი. 100 მეტრის გარბენის შემდეგ 10 წუთი სულს ვერ ვითქვამდი“. მაგრამ სამი წლის შემდეგ ინდოელი დღეში უკვე 10 მილს დარბოდა, 17 წლისა აზიის პირველი ჩოგანი იყო, 19 წლისა — მსოფლიოს საუკეთესოთა ათეულელი.

არმიტრაჟს კარიერაში 16 ერთეულების და 13 წყვილების ტურნირი მოუგია და ისეთი ლეგენდარული ჩოგბურთელები დაუმარცხებია, როგორიც როდ ლეივერი, არტურ ეში, ბიორნ ბორგი, ჯონ მაკინროი და ჯიმი კონორსი არიან. გარდა ამისა, ინდოელს ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიაში („რვაფეხა“) როჯერ მურის გვერდით უთამაშია, სპორტიდან წასვლის შემდეგ კი ღატაკი თანამემამულეების დასახმარებელ არაერთ საქველმოქმედო ფონდს თავკაცობს: „სპორტულ და საქმიან სარბიელზე მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებლობა მომცა, გამეკეთებინა ის, რაც ყოველთვის ჩემს მოწოდებად მიმაჩნდა — დავხმარებოდი ხალხს და გადამერჩინა არაერთი სიცოცხლე“.

## ჰოლანდიელის ვირუსი

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ვირუსი, რომელმაც გასულ კვირაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ელექტრონული ფოსტის სისტემები დააზიანა და რომელიც ხალხს ვითომდა ანა კურნიკოვას სურათის ნახვას სთავაზობდა, 20 წლის ჰოლანდიელი ჰაკერის პირმშო აღმოჩნდა.

ინტერნეტ-ხულიგანი ამსტერდამიდან 60 მილით დაშორებულ ქალაქ სნეეკში ცხოვრობს. პოლიციამ ის რამდენიმე დღის წინ დააკავა, მაგრამ სასამართლო პროცესის დაწყებამდე უკვე შინაც გაუშვა. ადგილობრივი კანონმდებლობა მსგავსი დანაშაულისთვის 4 წლამდე პატიმრობას ან ფულად ჯარიმას ითვალისწინებს.

ჰაკერს, რომლის გვარ-სახელსაც პოლიცია არ ამხელს, თურმე ბოროტი ზრახვები არ ჰქონია და არც ასეთ კატასტროფულ შედეგებს ელოდა. ამიტომ, მიხვდა, თუ არა, რაც ჩაიდინა, ნებაყოფლობით ჩაბარდა კანონის დამცველებს. „სულაც არ მსურდა, ხალხისთვის ზიანი მიმეყენებინა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს თავად მათი ბრალია, რატომ ხსნიდნენ გზავნილს? — მონანიებას ძნელად თუ უწოდებ ჰოლანდიელის განცხადებას — ვირუსს კურნიკოვას სახელი იმიტომ ვუწოდე, რომ მისი დიდი ქომაგი ვარ. ალბათ, დამეთანხმებით, ის აშკარად იმსახურებს ყურადღებას“.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ხმელთაშუა ზღვის ტური. 14-18 თებერვალი. 729, 4 კმ

## ზღვაზე და სითბოში დავიდე და დავიდი

ᲯᲔᲠ არ გამოზაფხულებულა, მაგრამ ველომრბოლებმა სეზონი უკვე გახსნეს. ოღონდ ისინი ჯერ სამხრეთში ასპარეზობენ და დათბობასთან ერთად ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ აინაცვლებენ. სეზონის ერთ-ერთი პირველი და საკმოდ პრესტიჟული ტურნირი, „ხმელთაშუა ზღვის ტური“ გასულ კვირას გაიმართა სამხრეთ საფრანგეთში. ეს შეჯიბრი ექვსი ეტაპისგან შედგებოდა, რომელთა საერთო სიგრძე 700 კილომეტრს აჭარბებდა.

პირველი ეტაპი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, ოთხშაბათს გაიმართა ანტიბსა და მონ ფრონს შორის. სტარტზე 23 გუნდი და 184 მრბოლი გამოვიდა. გზა საკმაოდ რთული იყო, რაც იერიშების განხორციელების მშვენიერ შესაძლებლობას იძლეოდა. ჰოდა, უნგრელმა ლასლო ბოდროგიმ (მაპეი) დღის პირველივე დაბრკოლებაზე, ესტერელის მთაზე (315 მ) შეუტია და მე-60 კილომეტრზე დანარჩენებს უკვე 5 წუთსა და 20 წამს უგებდა. შემდეგ მთაზე უნგრელი პელოტონს ისევ ხუთი წუთით უსწრებდა.

თუმცა პელოტონმაც გამოიღო ხელი და ტულონის მისადგომებთან ლტოლვილს წამოეწია. ბოლო აღმართზე, ფინიშმდე ექვსიოდე კილომეტრით ადრე, შეტევა ფრანგმა ლორან ბროშარმა წამოიწყო (ჟან დელატური). მას მალე ივან ბასო, დავიდე რებელინი და დავიდ მონკუტიე წამოეწივნენ და ჩამოიტოვეს კიდეც. საბოლოოდ იტალიელებმა მონკუტიესაც აჯობეს და გამარჯვებულის ბედი ერთმანეთში გადაწყვიტეს — ფინიშზე პირველი ბასო იყო.

მეორე ეტაპზეც იყო შეტევის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ ყველა მათგანი წარუმატებელი გამოდგა. ფინალური სპრინტში ავსტრალიელმა რობი მაკივენმა იმარჯვა.

მარტოობის მოყვარულებმა ვერც მომდევნო დღეებში მიაღწიეს საწადელს და ყველა დარჩენილი ეტაპი ფინალური სპრინტით დასრულდა. გამარჯვებები ფრანგმა ჟიმი კასპერმა (ფრანსეზი), იტალიელმა გაბრიელე ბალდუჩიმ (ტაკონი) და ესტონელმა იან კირსიპუუმ (პრევუაიანსი) (ორჯერ) მოიპოვეს.

საერთო ჩათვლაში კი პირველობა დავიდე რებელინს (ლიკიგასი) დარჩა, რომელსაც ეს შეჯიბრი 1999 წელსაც მოუგია. პირველი ეტაპის შემდეგ მას ბასო კი ასწრებდა, მაგრამ „ფასა ბორტოლოს“ წევრი შაბათს, მეოთხე ეტაპისას წაიქცა და მცირე ტრავმა მიიღო. ჰოდა, ვინაიდან მეხუთე ეტაპიც შაბათს, დღის მეორე ნახევარში გაიმართა, ბასომ საავადმყოფოში წასვლა, პირველი დახმარების მიღება და უკან დაბრუნება ვერ მოასწრო. შესაბამისად იგი ტურნირს გამოეთიშა და ჩემპიონი რებელინი გახდა.



დავიდე რებელინიმ შამპანურითაც იწუწავა

ᲒᲐᲒᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

| საბოლოო ჩათვლა |
|---|
| 1. დავიდე რებელინი (იტალია) 17სთ 20წთ 55წმ |
| 2. დავიდ მონკუტიე (საფრანგეთი) +8წმ |
| 3. ლორან ბროშარი (საფრანგეთი) +23 |
| 4. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი) +26 |
| 5. პატრიკ ჯონკერი (ჰოლანდია) +36 |


გეპატიჟებათ ბაკურიანში სასტუმრო საბა



სასტუმრო მდებარეობს დაბის ცენტრში,
„ოცდახუთიანისა“ და პარკის საბაგირო
გზებთან ახლოს

- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- მუდმივი დენი, გათბობა, ცხელი წყალი;
- სამჯერადი კვება, სამზარეულო ქართული, ფრანგული, ევროპული კერძებით;
- თხილამურების გაქირავების პუნქტი;
- სათხილამურო სპორტის გამოცდილი ინსტრუქტორი;
- სათხილამურო ტრასებამდე ავტომანქანით მომსახურება;
- სატელიტური ტელეარხები.

ბაკურიანი. კოსტავას ქ. №25 ტელ: 8 (99) 10-24-63


REUTERS ლაჰტიდან

# ნახტომი ლაჰტიში

ფინეთის ქალაქ ლაჰტიში მოთხილამურეთა სხვადასხვა სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. K-116 ტიპის ტრამპლინიდან ხტომის შეჯიბრი გერმანელ მარტინ შმიდტს მოუგია. მეორე ადგილზე პოლონელ ადამ მალიში გასულა, მესამეზე ფინელი იანე აჰონენი.


REUTERS როტერდამიდან

# ლაღად მოაბიჯებენ

[illegible] მიმდინარე სანოუბურთო ტურნირზე ლაღი ფოტოების გადაღებაც ხერხდება. ფრანგი სებასტიან გროჟანი (მარცხნივ) და გერმანელი ნიკოლას კიფერი ამოუცნობ ლამაზმანთა თანხლებით მოაბიჯებენ. მოაბიჯებენ და სხვა არაფერი. ლამაზები არიან და მორჩა.



# ბებიის გული

75 წლის შირლი სტრიკლენდი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია მძლეოსნობაში. ავსტრალიური სპორტისთვის ის უბრალო ჩემპიონზე მეტია და შარშანდელ სიდნეის ოლიმპიადის გახსნაზე ჩირაღდნის მტვირთველობაც გამოხატავს იმ პატივს, ამ ქალბატონს რომ მიაგებენ სამშობლოში. მაგრამ პატივი პატივად და ფული ყველას სჭირდება. ამ დღეებში ქალბატონ სტრიკლენდს გამოუცხადებია, რომ თავისი სპორტული ჯილდოების გაყიდვას აპირებს, რათა თერთმეტ შვილიშვილს სწავლა-განათლების გადასახადების გადახდაში დაეხმაროს.



# მწვრთნელი ქარხანაში

ერთ კვირაში, პარიზის „სტად დე ფრანსზე“ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ექს ჩემპიონს, გერმანიის ნაკრებს შეეჯიბრება ამხანაგურ თამაშში. გერმანელ ფეხბურთელთა მწვრთნელი რუდი ფიოლერი კი თავის „ხალხის გულების მწვრთნელობას“ ამართლებს და შტუტგარტში „მერსედესის“ ქარხნის მუშებთან ბაასობს. მუშებს მოხდენილი მოდელი უჩუქებიათ მწვრთნელისთვის, ფიოლერს კი ნაკრების საპარიზო შემადგენლობა დაუსახელებია.


REUTERS შტუტგარტიდან


REUTERS მოსკოვიდან

# აქლემები მოსკოვში

სანამ ყინვით დამზრალ მოსკოვში იმას მსჯელობდნენ, „ლუჟნიკის“ მინდორი როგორ მოეწესრიგებინათ ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის, იქაურ იპოდრომზე ბევრი არ უფიქრიათ და მოსკოვის ისტორიაში პირველი აქლემთა დოღი გამართეს. ოთხასმეტრიანი გარბენი აქლემ საიდზე ამხედრებულ გერმან ჟუკოვს მოუგია.

# ოდლის ჯილდო

უმძიმესი წონის ოლიმპიური ჩემპიონი კრივში ოდლი ჰარისონი კარგ გუნებაზეა. ბუკინგემის სასახლესთან თავშეყრილ რეპორტიორებს გოლიათი ოდლი ხალისით უჩვენებს გაერთიანებული სამეფოს საპატიო ჯილდოს, ბრიტანეთის იმპერიის წევრის ორდენს. დედოფალ ელისაბედ II-სგან მიღებულ პატივს კი მოკრივის მამა, ვისენტი შეპხარის. 29 წლის ჰარისონს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია მოყვარულად დარჩეს, თუ პროფესიონალებში სცადოს ბედი.


REUTERS ლონდონიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge